პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) სენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მეცრეველთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ბაზმოცდამეექვსე წელი

შაბათი, 10 აპრილი, 1948 წ. № 72 (8116). ფასი 20 კაპ.

ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘ:

ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲐᲓ ᲕᲣᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲗᲝᲗ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲡ—მოწინავე (1-ლი გვერდი).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ (1-ლი გვერდი).

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲚᲠᲔᲑᲐ (მე-2 გვერდი).

ᲐᲡᲬᲐᲚᲗᲘᲡ ᲐᲡᲚ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲔᲡᲘᲐ (მე-2 გვერდი).

ᲛᲝᲛᲠᲘᲜᲐᲕᲘ ᲛᲔᲪᲔᲜᲐᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲡᲐᲠᲩᲔᲚᲘ (მე-2 გვერდი).

ᲐᲞᲝᲚᲝᲜᲘ ᲭᲘᲗᲐᲮᲘᲠᲘᲫᲔ — ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲘᲠᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ (მე-3 გვერდი).

ᲚᲔᲕᲐ ᲭᲘᲐᲩᲘᲚᲘ — ᲯᲝᲠᲯᲘᲡ ᲛᲐᲛᲐ (მე-3 გვერდი).

ᲡᲐᲧᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐᲛᲘᲜᲝ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲘᲗ (მე-3 გვერდი).

ᲣᲨᲔᲚᲝᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ — ᲓᲘᲐᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘ (მე-4 გვერდი).

ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲐᲓ ᲕᲣᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲗᲝᲗ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲡ

ჩვენი სამშობლო ახალ-ახალ წარმატებას აღწევს მიმდინარე წელს. ქალაქად და სოფლად გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება ახალი სტალინური ხუთწლედის დაკვალთანა ოთხ წელწადში შესრულებისათვის. შეჯიბრებაში მილიონობით ადამიანი მონაწილეობს.

რაც უფრო ფართო გაჭანებას იღებს სოციალისტური შეჯიბრება, რაც უფრო მასობრივი ხდება იგი, მით უფრო იზრდება პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული როლი, მათი პასუხისმგებლობა მშრომელთა ამ პატრიოტულ მოძრაობის ხელმძღვანელობასთანეს. მასების ინიციატივისათვის ბრძოლა, შეჯიბრების მასობრივად გაშლა, მოწინავეთა მუშაობის მეთოდების ფართო პოპულარიზაცია, ჩამორჩენილთა დაწინაურება, ნაკლი ეალდებულებების შესრულება ყოველი ძოწლის მიხედვით — პარტიული ორგანიზაციების უურადღების ცენტრში უნდა იდგეს.

თუ საქართველოს მოწინავე საწარმოები გადაჭარბებით ასრულებენ დაალებებს და სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობით უშვებენ პროდუქციას, თუ საქართველოს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მრავლად აღიზარდნენ შესანიშნავი ადამიანები, სოციალისტური შრომის გმირები, წარმოების ნოვატორები, სტაპანოველები — ეს იმითაც უნდა აიხსნას, რომ პარტიული ორგანიზაციები სერიოზულ ყურადღებას უთმობენ სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობას, სათავეში უდგანან მასების პატრიოტულ მოძრაობას, შეუნელებლივ უნერგავენ მათ შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების, სამშობლოსადმი სიყვარულის კეთილშობილურ გრძნობას.

ცხადია, ეს უფლებას არ გვაძლევს ვთქვათ, რომ ყველგან სათანადოდ აფასებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, როგორც მასების კომუნისტურად აღზრდის, კომუნიზმის მშენებლობის დაჩქარების მძლავრ საშუალებას. ზოგჯერ პარტიული ორგანიზაციები შეჯიბრების გაჩაღებას ფორმალურად ეკიდებიან, წარმატებებს მხოლოდ შეჯიბრებაში ჩაბმულთა რაოდენობით ზომავენ, ვალდებულებათა აღებით ამაყოფილდებიან, ხშირად ეს ვალდებულებანიც ფორმალურია და ზოგადი, კონტროლს არ უწევენ შეჯიბრების მიმდინარეობას, არ ზრუნავენ იმისათვის, რომ შეჯიბრების ყველა მონაწილე განუხრელად ასრულებდეს ვალდებულებას, მოწინავეთა მეთოდებს პოპულარიზაციასა და დანერგვას ყურადღებას არ აქცევენ. ასეთ განწყობილებას ეხვდებით, მაგალითად, ზაშურის საორთქლმავლო დეპოს პარტიულ ორგანიზაციაში. საერთოდ ზაშურის დეპო ცუდად არ ასრულებს გეგმებს. მაგრამ მას უეჭველად მეტი წარმატება ექნებოდა, პარტიული ორგანიზაცია საჭიროო ყურადღებას რომ უთმობდეს სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობას. დეპოს არა ერთი მუშის, კერძოდ მემანქანეების სოციალისტური ვალდებულება საწვავის ეკონომიას ითვალისწინებდა, სინამდვილეში აქ ანგარიშებერვალში 206 ტონა საწვავი გადაბარეკეს. მაგალითად, მემანქანე ს. გაჩეჩილაძემ, რომელმაც იკისრა საწვავის 10 პროცენტით დაზოგვა, 4.730 კილოგრამი საწვავი გადაბარეკა. მემანქანე ყ. ლომძიძემ თებერვალში 5.199 კილოგრამი საწვავი გადაბარეკა. დაზოგვის ნაცვლად საწვავი გადაბარეკეს მემანქანეებმა გ. ტალახაძემ, ე. გალუსტიანმა, ა. ხვედელიძემ. დეპოში ნაალბად ზრუნავენ პროფესიათა მიხედვით სოციალისტური შეჯიბრების გაშლისათვის, რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა დანერგვისათვის. ცხადია, პარტიული ორგანიზაცია ყოველდღიურად რომ მუშაობდეს ადამიანებთან, უნერგავდეს მათ შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულებისა და პასუხისმგებლობის გრძნობას, ზრუნავდეს მოწინავე მუშაკთა მეთოდების პოპულარიზაციისათვის, ხაშურის საორთქლმავლო დეპოს უფრო მეტი მიღწევები ექნებოდა მუშაობაში.

სამშობლოს, ჩვენი წინსვლის ინტერესები პარტიული ორგანიზაციების წინაშე გადაუდებელ ამოცანად აყენებს ყოველდღიურ მუშაობას სწორამოს თუ კოლმეურნეობის წინაშე დასახულ ამოცანათა შესრულებისათვის, სოციალისტური შეჯიბრების, რაგორც წარმატებათა მოპოვების, მასების კომუნისტურად აღზრდის საშუალების ფართოდ გაჩაღებისათვის.

სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობა პირველ რიგში ადამიანებთან მუშაობას ნიშნავს. პარტიულ ორგანიზაციებს მოეთხოვებათ უფრო ფართოდ გაშალონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, განუვითარონ ადამიანებს შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულების, სამშობლოს წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა, კარგად იცნობდნენ თვითეულ მუშაკს, იცოდნენ ვის რა დახმარება სჭირდება, რა უშლის ხელს მუშაობაში, და დროულად აღმოუჩინონ ეს დახმარება.

შეჯიბრების წარმატებისათვის დიდი პირადი მაგალითის ძალა. კომუნისტები, რომლებსაც მასების ორგანიზატორების როლი აკისრიათ, თვითონვე უნდა იძლეოდნენ ვალდებულებათა ბოლშევიკურად შესრულების ნიმუშებს, იყვნენ შეჯიბრებულთა ავანგარდში. პარტიული ორგანიზაციებს ეკისრებათ სწორად გაანაწილონ თანაანთი ძალები, საქმე ისე მოაწყონ, რომ სწორად კომენსტატები, რომლებმაც უნდა გაიყოლიონ მასები, ყველაზე ძნელ და გადამწყვეტ უბნებზე იდგნენ, ყველა რგოლში მუშაობდნენ.

მოწინავეთა მუშაობის მეთოდების პოპულარიზაცია სოციალისტური შეჯიბრების ახალი აღმავლობის ერთ-ერთი პირობაა. მრავლად მუშაობენ ჩვენს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში შესანიშნავი ადამიანები. საქართველოს საკოლმეურნეო სოფელს 254 სოციალისტური შრომის გმირი და ასობით ორდენოსანი ჰყავს. მათი გამოცდილების განზოგადება, დანერგვა მუშაობაში, ჩვენება მათი სახისა, როგორც ახალი ადამიანებისა, რომლებმაც დაამსხვრიეს ძარცვაზე საწარმოო ნორმები და დიუცხრომლად ისწრაფვიან წინ სამშობლოს საკეთილდღეოდ — პარტიული ორგანიზაციების ის ყოველდღიური ზრუნვის საგანი უნდა იყოს. ეს ხელს შეუწყობს იმ ჩამორჩენის დროულად გამოსწორებას, რასაც: ამჟამად ადგილი აქვს საგანგებოდ ხვნა-თესვის საქმეში.

აუცილებელია შეჯიბრების მიმდინარეობა, ის — თუ ვინ წინაურდება და ჩამორჩება ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში, ყოველთვის ცნობილი იყოს კოლექტივისათვის. ეს განამტკიცებს პასუხისმგებლობის გრძნობას, დაგვეხმარება ახალ წარმატებათა მოპოვებაში.

კონკრეტულობა მთავარია სოციალისტურ შეჯიბრებაში. პარტიული ორგანიზაციების ვალია იზრუნონ იმისათვის, რომ ვალდებულებანი გარკვეული, ნათელი და კონკრეტული იყოს, შესდგეს ყველა არსებულ საშუალებათა და რესურსების გათვალისწინებით.

ყოველთვის გვახსოვდეს ამხანაგ სტალინის მითითება იმის შესახებ, რომ სოციალისტური შეჯიბრება — ეს არის კომენსიტური მეთოდი სოციალიზმის შენებლობისა შრომელთა მილიონნაირ მასების მაქსიმალური აქტივობის საფუძველზე, რომ ამ მეთოდის ფართოდ გავრცელება, მისი მასობრივობა ჩვენი სამშობლოს შემდგომი განმტკიცების, კომენსიზმისაკენ წინსვლის დაჩქარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ ᲙᲝᲛᲞᲝᲜᲘᲢᲝᲠ Დ. Ი. ᲐᲠᲐᲯᲘᲜᲘᲫᲔᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲠᲐᲒᲠᲔᲜᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

თვალსაჩინო დამსახურებისათვის მუსიკალური კულტურის დარგში და დაბადების 75 წლისთავთან დაკავშირებით კომპოზიტორი დიმიტრი ეგნატეს-ძე არაყიშვილი დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენით.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Ნ. ᲨᲕᲘᲠᲘᲜᲘ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲓᲒᲐᲠᲔ Ა. ᲒᲝᲠᲩᲐᲙᲘᲜᲘ

მოსკოვი, კრემლი. 1948 წლის 8 აპრილი.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐᲛᲐ ᲨᲔᲕᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ

ქალაქ ქუთაისის მრეწველობამ მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა 106,9 პროცენტით შეასრულა და ეგასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით 41 პროცენტით გაადიდა პროდუქციის გამოშვება. საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა გეგმა შეასრულეს 111,7 პროცენტით, რეს-პუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებმა—105,3 პროცენტით, ხოლო სარეწო არტელებმა და სოციალიური უზრუნველყოფის სამინისტროს საწარმოებმა—101,4 პროცენტით.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

1948 ᲬᲚᲘᲡ 10 Ა�პᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲡᲐᲥᲝ ᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

1947 წლის 16 დეკემბერს ფულის რეფორმის გატარებასთან ერთად გაუქმდა სასურსათო და სამრეწველო საქონლით მომარაგების საბარათო სისტემა, გაუქმებულია კომერციული ვაჭრობის მაღალი ფასები და შემოღებულია სურსათისა და სამრეწველო საქონლის ერთიანი შემცირებული სახელმწიფო საცალო ფასები. ეს იყო სამრეწველო და სასურსათო საქონლის ფასების შემცირების პირველი ეტაპი.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საერთო აღმავლობასა და მოხმარების საგნების წარმოების ზრდასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საჭიროდ სცნო განახორციელოს მთელი რიგი საქონლის ფასების შემცირების მეორე ეტაპი და ამით უზრუნველჰყოს მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასისა და გლეხთა შემოსავლის შემდგომი გადიდება, აგრეთვე მანეთის ყიდვითი უნარიანობის ამაღლება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ **დადგინა:**

1. 1948 წლის 10 აპრილიდან შემცირდეს შემდეგი საქონლის ერთიანი სახელმწიფო საცალო ფასები საშუალოდ:

„მუტფეი ავტომობილისა „მოსკვიჩი“	10%
მოტოციკლისა	20%
ველოსიპედისა	20%
სანადირო თოფისა	15%
საკერავი მანქანისა	10%
რადიომიმღებლისა „რეკორდი“ და „როდინა“	10%
დინამიკური რეპროდუქტორისა	20%
პატეფონისა	20%
ბაიანისა	10%
აკორდეონისა	12%
ფოტოაპარატისა „მოსკვა“	10%
სათეატრო ბინოკლისა	10%
ლითონის ჯიბისა და მაჯის საათებისა	12%
საიუველირო ეკრცხლისა და ლითონის გალანტერეისა	20%
პლასტმასის ფართო მოხმარების მთელი რიგი საქონლისა	20%
პაპიროსის, სიგარისა და სიგარეტისა	10%
საპარფიუმერიო-კოსმეტიკური საქონლისა	10%
პრიმუსისა, კერგაზისა და ელექტროფულისა	10%
არყის, ლიქიორ-არყის ნაკეთობის, ღვინის, ლუდისა და უალკოჰოლო სასმელებისა	20%
შავი ხიზილალისა	10%
წითელი ხიზილალისა	20%
ვიტამინებისა	20%

2. დაევალოს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს (ამხ. ტოვორონკოს) ამ დადგენილების შესაბამისად დაამუშაოს ამ დადგენილების 1-ლ პუნქტში ჩამოთვლილი საქონლის ახალი შემცირებული ერთიანი სახელმწიფო საცალო ფასები.

ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲝᲠᲓᲘᲡ ᲝᲠᲘ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ, 8 აპრილი. (საქდისი). ხვალ სრულდება ქალაქ და ციხე-სიმაგრე კენიგსბერგის აღების მეასე წლისთავი, რაც დამეხვა ალექსანდრადის ოლქის ორი წელსთავი. ალექსანდრადის ოლქი შეიქმნა 1946 წლის 7 აპრილს.

ამ ღირსშესანიშნავ იუბილეს ოლქის მშრომელები შეხვდნენ დიდი წარმატებებით საბეერნეო და კულტურულ მშენებლობაში. აქ მოკლე ხანში ამოქმედდა მრეწველობის მრავალი საწარმო. კალინინგრადელები ჩვენს ქვეყანას აწვდიან ცელულოზს, ქაღალდს, თევზეგანმტვირთავ ვაგონებს, რეფრიჟერატორებს. ოლქში შექმნილია 370-ზე მეტი კოლმეურნეობა, და 30 მტს-ი. ამ გაზაფხულზე სავაზაფხულო კულტურათა ნათესი ფართობი შარანაგალთან შედარებით ერთთასამად დიდდება. ოლქის ტრაქტორიაზე შექმნილია მეცხოველეობის 53 საჯიმე საბჭოთა მეურნეობა. აღდგენილია დაბგრეული ქალაქები და დაბები.

გუშინ ოლქის ორი წლისთავთან დაკავშირებით შესდგა მშრომელთა დეპუტატების საოლქო და საქალაქო საბჭოების საზეიმო სხდომა პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად. სხდომის მონაწილეებმა უდიდესი აღფოთოვანებით მიიღეს მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინისაგან.

9 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲛᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲜᲔᲚᲔᲑᲐᲐ

9 მაისს მოხდება მზის დაბნელება. მისი ცენტრალური ზოლი გაივლის საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთი საზღვრების ახლოს და გადასჭრის ყურელის კუნძულებს. სსრ კავშირის ტერიტორიაზე შემჩნეული იქნება არასრული დაბნელება.

ვლადივოსტოკში მთავარე დაჰფარავს მზის დისკოს 9/10-ს. აქ დაბნელება დაიწყება 4 საათსა და 8 წუთზე და დამთავრდება 7 საათზე მოსკოვის დროით. იუენო-სახალინსკში მთავრით დაუფარავი დარჩება მზის დიამეტრის მხოლოდ ხუთი მეასედი.

დასავლეთისაკენ გადაბრის მიჰიდვით დაბნელების ფაზა შემცირდება. მაგალითად: ნოვოსიბირსკში, სადაც დაბნელება მოხდება 4 საათისა და 29 წუთიდან 5 საათსა და 48 წუთამდე, მთავრე მზეს ორი მეათედით დაჰფარავს, კუტაისშეგში მზეს დაეფარება მთავრის მხოლოდ ნაპირი. კავკასიაში კარგი ამინდისას მოხერხდება მხოლოდ დაბნელების დამთავრების შემჩნევა, ვინაიდან იგი მზის ამოსვლამდე დაიწყება.

დაბნელების სამეცნიერო დაკვირვეა ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ პუნქტებში მოხდება. (საკდისი).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐᲨᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲥᲐᲦᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲘᲐᲚᲚᲔᲚᲘ

ᲡᲢᲔᲜᲓᲔᲚᲘ ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲛᲝᲜᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

პროფესიას მექანიკურმა ქარხანამ გამოუშვა პირველი სერია სტენდებისა დიზელიანი ტრაქტორების სათბობი აპარატური რემონტისა და გამოცდისათვის. მექანიზმი დაპრიგენებულია სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის საკავშირო ინსტიტუტში ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატ ა. ი. სელეანოვის მიერ.

სტენდები შესაძლებლობას იძლევა სწრაფად და სწორად ჩავატაროთ დიზელიანი ტრაქტორების რიგული სათბობი აპარატის რემონტი, სწრაფად გამოვავლინოთ და აღმოვფხვრათ დეფექტები. ნაანგარიშევია, რომ მათ გამოყენება ჩვენს ქვეყანას მისცემს წელიწადში 12,5 ათასი ტონა საწვავის ეკონომიას.

ქარხანამ დაამთავრა სტენდების პირველი პარტიის გაგზავნა იმ ოლქებში, სადაც დიზელიანი ტრაქტორები მუშაობენ.

ᲡᲐᲘᲛᲘᲯᲝᲣᲚᲝ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

იმ ქარხანაში, სადაც დირეკტორად ამხ. ზაბელინია, დაიწყო მასობრივი გამოშვება საიმპულსო საზომგისა — ამეეცალური ხელსაწყოებისა, რომლებიც ავტომატურად არკვევენ ელექტროგადაცემის ხაზის დაზიანების ადგილსა და ხასიათს 350 კილომეტრ რადიუსში. ამ საზომის გამოყენება შეაძლებელს ხდის ავარიის ადგილი გავიგოთ ერთი-ორი წუთის განმავლობაში, ნაცვლად 5-6 საათისა, რასაც ჩვეულებრივ ხარჯავდნენ სარემონტო ბრიგადები.

„ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲢᲘ“

ქარხანა „მოსავტოტეკლომ“ დაიწყო მაღალხარისხოვანი საავტომობილო მინის „სტალინიტის“ მასობრივი გამოშვება. ეს მინა მზადდება ჩვეულებრივი მინიდან ელექტროლუმელში მისი დარბილებით და შემდეგ მაღალი წნევის ქვეშ სწრაფი გაცივებით.

„სტალინიტი“ კარგად გამკვირვალე და მაგარია. 5,5 მილიმეტრიანი სისქის ფურცელი უძლებს 2 მეტრის სიმაღლიდან დაცვიმულ ორკილოგრამიანი ლითონის ბურთის დარტყმას.

„სტალინიტის“ პირველი პარტია ქარხანამ გაუგზავნა ჩვენი ქვეყნის საავტომობილო საწარმოებს.

ახლო მომავლის დროში გამოუშვებენ კონსტანტინოვკის № 25 მინის ქარხანა, გუს-ხრუსტალნის ძერჟინსკის სახელობის ქარხანა და გორკის ქარხანა.

ᲐᲜᲐᲚᲘᲜᲘᲡᲬᲐᲠᲘ ᲡᲐᲚᲘᲜᲘᲡ

სსრ კავშირის მაძკანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს სასურსოებისა და ხელსაწყოების სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა დაამშვა „ადგ-200“ ტიპის ანალიზური სასურორი ახალი კონსტრუქციით. ამ სასურორს შეუძლია ასურონოს ტეორი 200 გრამამდე ხუთიმეასედი მილიგრამის სიზუსტით. არსებულ ანალიზურ სასურორს ჰქონდა ზევრიული სიზუსტე 0,4 მილიგრამი.

„ადგ-200“ სასურორზე დადგენილია ოპტიკური ხელსაწყო. მკალაზე ციფრების წასაკითხად. ეს საშუალებას იძლევა უფრო ზუსტად გამოვიანგარიშოთ აწონის შედეგი.

ახალი ანალიზური სასურორი მიღებულია წარმოებაში ლენინგრადის ქარხანა „გოსმეტრის“ მიერ.(საკდისი).

ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

19 აპრილს მოსკოვში შესდგება საბჭოთა კომპოზიტორების პირველი სრულიად საკავშირო ყრილობა. ყრილობაში მონაწილეობას მიიღებს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის 500 დელეგატი.

დამტკიცებულია ყრილობის დღის წესრიგი. ძირითად მოხსენებას „საბჭოთა მუსიკის 30 წელი და კომპოზიტორთა ამოცანები“ გააკეთებენ საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე აკადემიკოსი ბ. ასაფიევი და საორგანიზაციო კომიტეტის გენერალური მდივანი ტ. ხრენიკოვი. თანამოხსენებებით გამოვლენ კომპოზიტორთა რესპუბლიკური კავშირების წარმომადგენლები. კავშირის წესდების შესახებ მოხსენებას გაკეთება დაევალებული აქვს საორგანიზაციო კომიტეტის მდივანს ვ. ზახაროვს.

დასასრულ შესდგება გამეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

ყველა რესპუბლიკურ ცენტრში ჩატარდა კომპოზიტორთა კავშირების გამეობათა პლენუმები, რომლებზეც განხილულ იქნა მუსიკალური ცხოვრების შემოქმედებითი საკითხები და აჩჩეულ იქნენ საკავშირო ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატები. (საკდისი).

ᲕᲘ. ᲕᲘ. ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲜᲔᲑᲘ

ᲚᲔᲜᲘᲜ�გᲠᲐᲓᲘ, 8 აპრილი. (საკდისი). ახლოვდება მაიაკოვსკის გარდაცვალების მე-18 წლისთავი. საბჭოთა მწერლების კავშირის ლენინგრადის განყოფილება და საკავშირო ალკა საქალაქო კომიტეტი აწყობენ საბჭოთა ეპოქის გამორჩეული პოეტისადმი მიძღვნილ ლექცია-საღამოებს.

მწერალთა სახლში შესდგა პირველი საღამო. მოხსენება „მაიაკოვსკი და საბჭოთა პოეზია“ გააკეთა კრიტიკოსმა ე. დრუზინმა. მაიაკოვსკისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა ი. აფრამეკომ, ვ. აზაროვმა.

დასასრულ უჩვენეს დოკუმენტალური ფილმი „ვლადიმერ მაიაკოვსკი“.

შემდეგი საღამო მიეძღვნება თემას: „დასავლეთი და ამერიკა მაიაკოვსკის პოეზიაში“. სულ 5 საღამო მოეწყობა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲝ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲘᲛᲘᲯᲐᲠᲙᲐᲠᲐᲙᲘᲨᲘ

ᲣᲤᲐ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ, 8 აპრილი. (საკდისი). იმიერკარპატში რამდენნიმე დღეს იმყოფებოდა საქართველოს სსრ სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა დელეგაცია.

დელეგაციის წევრებმა მოიარეს მუკაჩეევოს, ბერეგოვოს და სელეოფის ოლქების კოლმეურნეობები და სოფლები, გაიცნეს საოლქო სამომხმარებლო კავშირის ქალაქისა და სოფლის მაღაზიების მუშობა.

მუშობის გამოცდილების გაზიარების შემდეგ დელეგაციამ ხელი მოაწერა სამომხმარებლო კოოპერაციის საოლქო კავშირთან შეჯიბრების ახალ ხელშეკრულებას.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲘ



Ე. Ბ. ᲜᲐᲠᲛᲐᲕᲘᲜᲐ
ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „კომინტერნის“ მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 8 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 77,7 ცენტნერი სიმინდის მოლეწისათვის.

Გ. Ა. ᲩᲘᲩᲘᲜᲐ
ახალციხის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 8 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 81,68 ცენტნერი სიმინდის მოლეწისათვის.

Შ. Გ. ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ოჩამჩირის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 8 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 73,17 ცენტნერი სიმინდის მოლეწისათვის.



Გ. Კ. ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ლაგოდეხის რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 24 ცენტნერი თამბაქოს მოლეწისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

ავამაღლოთ პარტკაბინეტის როლი კადრების თეორიული აღზრდის საქმეში

კადრების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებისათვის თვალსაჩინო მუშაობას ეწევა ფოთის საქალაქო პარტკაბინეტი. იგი კარგად არის მოწყობილი. პარტკაბინეტს აქვს სალექციო დარბაზი, სამკითხველო, დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგების სამუშაო ოთახი, მდიდარი ბიბლიოთეკა პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურით, კაბინეტი ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციებისათვის. პარტკაბინეტში მოწყობილია გამოფენები ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების, პარტიის ისტორიის და მეოთხე ხუთწლიანი გეგმის საკითხებზე. გამოფენის ცალკეული განყოფილებები ასახავენ საბჭოთა საქართველოს ახალ ხუთწლედში, აგრეთვე ფოთის წარსულსა და მომავალს. გამოფენის მასალებსა და დოკუმენტებს ფართოდ იყენებენ ლექტორები და პროპაგანდისტები, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელები და აგიტატორები.

პარტიული კაბინეტი თვალსაჩინო მონაწილეობას იღებს ლექციური პროპაგანდის გაშლაში. შარშან პარტკაბინეტსა და საწარმო-დაწესებულებებში წაკითხულ იქნა 694 ლექცია და 129 მოხსენება, რომლებიც 28.952 კაცმა მოისმინა. ამავე პერიოდში ჩატარებულია 6.335 ინდივიდუალური და 177 ჯგუფური კონსულტაცია. მიმდინარე წელს კიდევ უფრო გაიზარდა ლექციების რიცხვი და გაუმჯობესდა მათი ხარისხი.

ლექტორებად მუშაობენ პარტიული და სამეურნეო დარგის ხელმძღვანელები, მეცნიერი მუშაკები, ლიტერატორები. თვითეული ლექტორის პირად ბარათში აღნიშნულია ის თემები, რომლებიც მას მომზადებული აქვს. ამავე დროს ლექტორები სისტემატურად მუშაობენ ახალი თემების მომზადებისათვის. პარტკაბინეტი მათ ეხმარება ლიტერატურით, კონსულტაციით, საჭირო ბიბლიოგრაფიული მასალებით. როგორც წესი, ლექტორთა ჯგუფის სხდომაზე ხდება ლექციების წაკითხვა; მათ წინასწარ რეცენზიას უკეთებს ლექტორთა ჯგუფის ერთ-ერთი წევრი. ჯგუფის სხდომაზე ლექტორს სათანადო მითითებები ეძლევა. ეს ამაღლებს წასაკითხი ლექციის თეორიულ დონეს.

ლექციები იკითხება წინასწარ შემუშავებული გეგმით, რომელსაც ამტკიცებს პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურო. ლექციების თემატიკა ძირითადად შეფარდებულია აქტივის მოთხოვნილებებსა და მათი ცოდნის დონესთან. მაგალითად, ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიების დამოუკიდებლად შემსწავლელთა დასახმარებლად ლექტორმა არ. ოდიშარიამ წაიკითხა ლექცია თემაზე: ლენინის ნაშრომი—„სახელმწიფო და რევოლუცია". პარტიულმა აქტივმა ინტერესით მოისმინა ლექციები: „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" ასი წლისთავი" და „ამხანაგი სტალინი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და გატარების პერიოდში". აქტივის წინაშე მოხსენებით გამოდიან ხელმძღვანელი მუშაკები. პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. გრ. კოკაიამ პროპაგანდისტების, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებისა და აგიტატორებისათვის პარტკაბინეტში წაიკითხა მოხსენება ფულის რეფორმისა და სასურსათო და სამრეწველო საქონლის ბარათების გაუქმების მნიშვნელობაზე. ამავე თემაზე მსხვილ საწარმოებსა და კოლმეურნეობებში მოხსენებით გამოვიდნენ პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანი ო. გაგუა და ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ოჩიგავა.

პარტკაბინეტთან მუშაობს პარტიულ-სამეურნეო აქტივის სამი სემინარი, რომლებიც 154 კაცს აერთიანებენ. სემინარებს ხელმძღვანელობენ პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივნები და განყოფილებათა გამგეები. სისტემატურად მუშაობენ სამეურნეო აქტივისა და პარტორგანიზაციების მდივნების სემინარები. სემინარის მონაწილეებს წინასწარ ეძლევათ გეგმები, უწევენ კონსულტაციებს, უთითებენ საჭირო ლიტერატურაზე. მეცადინეობა ცოცხალი საუბრის წესით მიმდინარეობს, რაც უზრუნველჰყოფს მსმენელთა აქტივობას. სემინარების მსმენელები ინჟინერი მ. დიდენკო, ქალაქის საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის განყოფილების გამგე ი. გუნია, პარტიის საქალაქო კომიტეტის სამხედრო განყოფილების გამგე შ. ცომაია, ექიმი ვ. ქავჟარაძე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ალ. მოწერელია, კავშირგაბმულობის უფროსი ძ. მასხულია, პურკომბინატის პარტბიუროს მდივანი შ. ხურცია ბეჯითად მეცადინეობენ, ამასთან მასებში ნაყოფიერ პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევიან.

პარტკაბინეტი კარგად მუშაობს ინტელიგენტთა შორის. გარდა კვალიფიციური ლექციებისა და მოხსენებებისა, ინტელიგენციისათვის სისტემატურად ეწყობა თეორიული კონფერენციები, გასაუბრებები.

მოსკოვისა და ლენინგრადის მოწინავე პარტიული ორგანიზაციების გამოცდილების მიხედვით ქალაქის მსხვილ პარტიულ ორგანიზაციებში — ნავსადგურში, რკინიგზაზე, ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში, წისქვილკომბინატში მუშაობენ მუდმივმოქმედი სემინარები, რომელთაც ხელმძღვანელობენ პარტკაბინეტის ლექტორები.

პარტკაბინეტთან არსებული მომხსენებელთა ჯგუფი 50 კაცს აერთიანებს. ეს ჯგუფი უკეთ იმუშავებდა, რომ იგი პარტკაბინეტისაგან მეტ ხელმძღვანელობა-დახმარებას იღებდეს. მომხსენებელთათვის არ ტარდება სემინარები. არ ხდება მოხსენებების წინასწარი გარჩევა. ქალაქის პარტიული და სამეურნეო აქტივის მნიშვნელოვან ნაწილს რუსები შეადგენენ, მაგრამ მათთან სისტემატურად არ ეწყობა ლექცია-მოხსენებები. ამ ნაკლის გამოსწორების საშუალება პარტკაბინეტს აქვს, თუ კი ამ საქმეში ჩააბამს აქტივს.

ძირეულ პარტიულ ორგანიზაციებში ბელადების ბიოგრაფიებისა და პარტიის ისტორიის შემსწავლელი 33 წრე მუშაობს, მაგრამ მათ პროპაგანდისტებს საქალაქო პარტკაბინეტი ძლიერ სუსტად ეხმარება და ხელმძღვანელობს.

ყოფილ საარჩევნო უბნებში საავიტაციო მუშაობა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შემდეგ შესუსტდა. პარტკაბინეტი ნაკლებად ზრუნავს აგიტკოლექტივებისა და აგიტატორთა მუშაობის გამოცოცხლებისათვის, იშვიათად იწვევა აგიტატორთა თათბირები გამოცდილების გაზიარების მიზნით, არ სწარმოებს საცნობარო მასალების შეგროვება ქალაქის ცხოვრებაზე, გეგმების შესრულებაზე, მოწინავე ადამიანებზე.

არის ლექციების ჩაშლისა და გადადების შემთხვევები. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ზოგჯერ ლექციებზე მსმენელებს ისე იწვევენ, რომ მათთვის წინასწარ ცნობილი არ არის ლექციის თემა. მრავალფეროვნება აკლია ლექციების თემატიკას. მცირე რაოდენობით იკითხება ლექციები მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიიდან, ეკონომიური მეცნიერებიდან, ლიტერატურიდან.

ფოთის საქალაქო პარტკაბინეტმა უმოკლეს ვადაში უნდა აღმოფხვრას აღნიშნული ნაკლოვანებანი.

ალ. წურწუმია
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში

7 აპრილს შესდგა უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების სექციათა პრეზიდიუმების წევრთა გაფართოებული სხდომა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის გამოჩენილმა მოღვაწეებმა.

სხდომამ მოისმინა საზოგადოების თავმჯდომარის ამხ. ნ. მიქავას მოხსენება საზოგადოების 1947 წლის მუშაობის შესახებ.

მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ საზოგადოების ლიტერატურის სექციის პრეზიდენტი პოეტი ს. ჩიქოვანი, თეატრალური სექციის პრეზიდენტი სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ხორავა, ლიტერატურის სექციის პრეზიდიუმის წევრი კრიტიკოსი გ. ქიქოძე, მუსიკის სექციის ვიცე-პრეზიდენტი კომპოზიტორი ა. ბალანჩივაძე, კინოს სექციის ვიცე-პრეზიდენტი ვ. მაჭავარიანი, ლიტერატურის სექციის პრეზიდიუმის წევრი გ. ჯიბლაძე, საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე ე. გეგეჭკორი და სხვ.

განხილულ საკითხზე სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება.

სხდომის მონაწილეებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერის, საზოგადოებრივ მეცნიერებათა სექციის ყოფილი პრეზიდენტის აკადემიკოს ს. ჯანაშიას ხსოვნას.

* * *

შესდგა საზოგადოებრივ მეცნიერებათა სექციის პრეზიდიუმის სხდომა. სექციის პრეზიდენტად არჩეულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ა. შანიძე.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

6 აპრილს გაიხსნა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ი. ტუსკაძე აქვეყნებს სესიის განსახილველად შემოტანილ შემდეგ საკითხებს: 1. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის 1948 წლის ბიუჯეტის დამტკიცება, 2. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება და 3. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს და სპეციალური სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნები.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა აფხაზეთის ასსრ ფინანსთა მინისტრი დეპუტატი ს. მათითაშვილი. მომხსენებელმა ილაპარაკა აფხაზეთის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში მოპოვებულ წარმატებებზე, საქონელბრუნვის გადიდებაზე, საფინანსო ბაზისა და ფულის მიმოქცევის განმტკიცების საკითხებზე. აფხაზეთის მშრომელთა თავდადებული მუშაობით უზრუნველყოფილ იქნა 1947 წლის ბიუჯეტის შესრულება შემოსავლის ნაწილში 157.092.900 მანეთის ანუ 108,5 პროცენტის რაოდენობით, ხოლო გასავლის ნაწილში — 151.831.700 მანეთის ანუ 104,9 პროცენტის რაოდენობით. შემოსავალმა გასავალს გადააჭარბა 5.261.200 მანეთით.

მომხსენებელი გადადის 1948 წლის ბიუჯეტის დახასიათებაზე. აფხაზეთის ასსრ 1948 წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს 142.629 ათასი მანეთის დახარჯვას, რაც შეესაბამება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე ხუთწლიანი გეგმის მესამე წლით დასახულ ამოცანებს. ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი დაიხარჯება სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე, მაგალითად, სახალხო განათლებაზე — 72.063.100 მანეთი, ჯანმრთელობის დაცვასა და ფიზკულტურაზე — 35.671.100 მანეთი, კურორტებზე — 11.377.000 მანეთი. ყოველივე ეს ცხადჰყოფს პარტიისა და მთავრობის ზრუნვას მშრომელთა მოთხოვნილებებისა და საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის.

ამხ. მათითაშვილის მოხსენების შემდეგ უმაღლესმა საბჭომ მოისმინა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ივარდავას თანამოხსენება.

შემდეგ დაიწყო მოხსენების განხილვა. კამათში გამოვიდნენ: გულრიფშის რაიონიდან დეპუტატი ბოხუა, სოხუმის საქალაქო საბჭოდან ამხ. ნაჭყებია, გალის რაიონიდან დეპუტატი გაბუნია, სოხუმის რაიონიდან დეპუტატი კობახია, გუდაუთიდან ამხ. ფილია, აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრი ამხ. სიგუა, ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მმართველი ამხ. გარდაფხაძე, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ამხ. შონია, ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი დეპუტატი გაბისონია, დეპუტატები ჩიგოვაძე, ხონელია და სხვები. კამათში გამოსულებმა ერთსულოვნად მოიწონეს ბიუჯეტის პროექტი, ამასთან გააკრიტიკეს ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო, რომელიც ვერ ასრულებს გეგმას ასორტიმენტის მიხედვით, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტისა და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეთა სამმართველოს მუშაობა.

7 აპრილს საღამოს სესიამ მოისმინა დეპუტატ მათითაშვილის საბოლოო სიტყვა.

უმაღლესი საბჭო ერთხმად ამტკიცებს კანონს 1948 წლის ბიუჯეტის შესახებ.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე — აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ მოხსენებით გამოვიდა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი დეპუტატი მ. ხაშბა.

შემდეგ უმაღლესმა საბჭომ ერთხმად აირჩია უმაღლესი სასამართლოს და სპეციალური სასამართლოების სახალხო მსაჯულები.

დასასრულ სესიამ განიხილა საორგანიზაციო საკითხები. სესიამ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. ა. მირცხულავა სასწავლებელში მისი წასვლის გამო. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დამტკიცებულ იქნა დეპუტატი მ. ქ. დელბა და იგი განთავისუფლებულ იქნა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი ანდრია მაქსიმეს-ძე ჭოჭუა.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესიამ ამით დაამთავრა მუშაობა.

ს. შონია
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის" საორგანიზაციო ბიუროში

ამ დღეებში ამხ. ვ. ბ. გოგუას თავმჯდომარეობით შესდგა სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის" საორგანიზაციო ბიუროს პირველი სხდომა. ბიურომ განიხილა ორგანიზაციული საკითხები. საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეულ იქნენ ამხ. კ. ს. ციმაკურიძე და ვ. ზ. გულისაშვილი, მდივნად ამხ. ა. დ. გიორგაძე.

საორგანიზაციო ბიურომ საჭიროდ სცნო გამოქვეყნდეს პრესაში წერილები საზოგადოება „ტყის მეგობრის" მნიშვნელობისა და ამოცანების შესახებ.

შემდეგ ბიურომ განიხილა მიმდინარე წელს „ტყის დღის" ჩატარების საკითხი. ბიურომ საჭიროდ სცნო, რომ წელს „ტყის დღე" მოეწყოს 18 და 25 აპრილს. რაიონებს რჩევა მიეცათ აირჩიონ ერთ-ერთი დღე ადგილობრივი პირობების შესაბამისად და თავისი გადაწყვეტილება ამ საკითხზე წინასწარ აცნობონ საორგანიზაციო ბიუროს.

ზოგიერთ მაღალმთიან რაიონში წიწვიანი ჯიშის ხეების დარგვა დაგვიანებით ხდება. ამიტომ ასეთ რაიონებს ნება დაერთოთ „ტყის დღე" ჩაატარონ 9 მაისსაც.

საორგანიზაციო ბიურომ საჭიროდ სცნო გამოიცეს საზოგადოება „ტყის მეგობრის" წესდების პროექტი ქართულ და რუსულ ენებზე.

ბიურომ განიხილა აგრეთვე ლექციებისა და მოხსენებების ჩატარების საკითხი და დაადგინა — საზოგადოება „ტყის მეგობრის" მნიშვნელობისა და ამოცანების ფართო მოსახლეობისათვის განმარტების მიზნით მოეწყოს ლექციები და მოხსენებები, რისთვისაც რაიონებში მივლინებულ იქნან სათანადო ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტები. ამხანაგებს ვ. დ. კუპრაძეს, ვ. ა. ხატიაშვილს და ვ. ზ. გულისაშვილს დაევალათ შეიმუშაონ და 12 აპრილისათვის საორგანიზაციო ბიუროს წარუდგინონ ლექციების თემატიკის, რაიონებში სპეციალისტების მივლინების და რადიო-პროპაგანდის გეგმა.

პლეხანოვის სახელობის კლუბი უკეთესად უნდა მუშაობდეს

პლეხანოვის სახელობის კლუბი (დირექტორი ი. გოძიაშვილი) სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საყვარელი დასასვენებელი ადგილია. კლუბთან არის დრამატიული წრე. აქ უჩვენებენ კინოს, აწყობენ კონცერტებს.

კარგად მუშაობს ტექნიკის დაუფლების წრე, რომელსაც ინჟინერი პ. ბაბუნაშვილი ხელმძღვანელობს. წრეში მეცადინეობა კვირაში ორჯერ ეწყობა. წრის წევრთაგან ბევრმა აიმაღლა კვალიფიკაცია. ლიტერატურული წრე (ხელმძღვანელი ს. წვერავა) აწყობს ლიტერატურულ საღამოებს, დისკუსიებს ამა თუ იმ ნაწარმოების გამო. კლუბთან არსებობს აგრეთვე საჭადრაკო, მომღერალთა, ჭრა-კერვის და სხვა წრეები.

კლუბი ჯერ კიდევ სუსტად მუშაობს მუშა-მოსამსახურეთა პოლიტიკური და იდეური ცოდნის დონის ასამაღლებლად. უკანასკნელ 3 თვეში კლუბმა ქარხნის საამქროებში და საერთო საცხოვრებლებში მხოლოდ 30 ლექცია-საუბარი ჩაატარა. აქედან დიდი უმრავლესობა ტექნიკურ საკითხებს ეხება. კლუბის ხელმძღვანელობას ერთხელაც არ მოუწყვია მოწინავე მუშების გამოცდილების ურთიერთ გაზიარება.

სუსტად მუშაობს ჭრა-კერვის შემსწავლელი წრე, რაშიც ბრალი მიუძღვის კლუბის ხელმძღვანელობას. წრეში გაერთიანებულია 25-მდე ქალი, რომლებსაც მუშაობის სათანადო პირობები არა აქვთ. წრეს არა აქვს სამუშაო ოთახი, საკერავი მანქანა და სხვა ხელსაწყოები.

პლეხანოვის სახელობის კლუბი, გარდა ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისა მომსახურებას უწევს რაიონის მშრომელებს. სიშორის გამო რაიონის მცხოვრებლებს ხშირად არა აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ ქალაქის კინოთი და თეატრებით. ამიტომ საჭიროა კლუბში ხშირად ეწყობოდეს ჩვენი წამყვანი თეატრების სპექტაკლები, მით უმეტეს, რომ კლუბს აქვს საამისო ბაზა. აღსანიშნავია, რომ კლუბში ხშირად იმართება რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლები. სპექტაკლებს მართავენ აგრეთვე მოზარდ მაყურებელთა რუსული და ქართული თეატრები, თოჯინების ქართული თეატრი და მუსიკალური კომედიის რუსული თეატრი. ამ საქმეს გულგრილად ეკიდებიან მარჯანიშვილის სახელობის, ოპერისა და ბალეტის, მუსიკალური კომედიის ქართული თეატრები. საჭიროა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა სამმართველომ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ საკითხს.

პლეხანოვის სახელობის კლუბი ერთ-ერთი მოწინავე უნდა იყოს დედაქალაქის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის. იგი ლენინის რაიონის მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ნამდვილი ცენტრი უნდა გახდეს.

მ. იაშვილი

მცხეთის რაიონის, სოფელ წეროვნის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ფართობზე მცხეთის მტს-ის პირველი ბრიგადის ტრაქტორისტი იასონ ხოხაშვილი ნაცვლად 11 ჰექტარისა დღეში სიმინდს სთესავს 15 ჰექტარზე. მთესავია კოლმეურნეობის წევრი ნიკო ჯაჭვაძე.

ფოტო რ. აკოფოვისა და ვლ. გინზბურგისა

მოწინავე მევენახეთა მოწოდების პასუხად

კოლმეურნეთა სიტყვა და საქმე ერთია

სახელმოხვეჭილია გორული ხილი. ფართოდ არის ცნობილი ატენური და ხიდისთაური ყურძენი. გორელი კოლმეურნეები ყოველწლიურად აუმჯობესებენ ბაღებისა და ვენახების მოვლას, იბრძვიან უხვი მოსავლის მიღებისათვის.

გორის რაიონის კოლმეურნეობებში მევენახეობის განვითარებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 15 ოქტომბრის დადგენილებამ „საქართველოს სსრ ქართლის რაიონებში სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით სამრეწველო მეხილეობისა და მევენახეობის, შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ". ამ ისტორიული დადგენილების განხორციელებისათვის გაშლილი მუშაობა ომმა შეაჩერა. მაგრამ ახლა უკვე რამდენიმე წელია კოლმეურნეებმა ჩვეული სიყვარულით მოჰკიდეს ხელი მევენახეობის განვითარების საქმეს.

კოლმეურნეთა შორის დიდი მოწონება გამოიწვია მოწინავე მევენახეთა რესპუბლიკური თათბირის მიმართვამ მევენახეობის შემდგომი განვითარებისა და ყურძნის მაღალი მოსავლის მიღების შესახებ. კოლმეურნეები ებმებიან სოციალისტურ შეჯიბრებაში და ახალ კონკრეტულ ვალდებულებებს იღებენ.

სოფელ ზემო ხიდისთავის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, რესპუბლიკური თათბირის მონაწილემ ამხ. ფ. ანასტასოვმა განაცხადა: — ჩვენს კოლმეურნეობაში მევენახეობას ყოველთვის სერიოზულ ყურადღებას ვუთმობდით, მაგრამ ამიერიდან კიდევ მეტია საჭირო. რესპუბლიკურ თათბირზე პირობა დავდეთ, რომ წელს მოვიყვანთ ყურძნის უხვ მოსავალს. ჩვენი ვალდებულება ასეთია: 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანთ 90 ცენტნერ ყურძენს, ხოლო 6 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე—40 ცენტნერს. ჩვენს კოლმეურნეობაში ყურძნის მაღალი მოსავლის მიღებისათვის საჭირო პირობები უკვე შექმნილია. ვენახი მაღალხარისხოვნად გვაქვს დამუშავებული. ამავე დროს წელს 2 ჰექტარზე ვაშენებთ ახალ ვენახს. კოლმეურნეთა შორის ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. ბრიგადამ, რომელსაც პ. ტლაშაძე ხელმძღვანელობს, იკისრა საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანოს 70 ცენტნერი ყურძენი.

მოწინავე მევენახეთა მოწოდებას ფართოდ გამოეხმაურნენ კარალეთისა და დიდი გარეჯვრის კოლმეურნეობებში. დიდი გარეჯვრის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ თ. ჩუხრუკიძემ კოლმეურნეთა სახელით სოფლის მეურნეობის მუშაკთა რაიონულ თათბირზე პირობა დასდო, რომ საშუალოდ ჰექტარზე მიიღებს 50 ცენტნერ ყურძენს, მნიშვნელოვნად გაადიდებს ვენახის ფართობსაც. ახალ ვალდებულებებს იღებენ აგრეთვე ატენის, ვარიანის, ქახვრელის, მექვაბიანთუბნის, პატარა მეჯვრისხევის და სხვა კოლმეურნეობები.

რაიონში ფართოდ არის გაშლილი საგაზაფხულო სამუშაოები. კოლმეურნეები მუშაობენ ბაღებში, ვენახებში, საჭარხლე და საბოსტნე ნაკვეთებში. დაწყებულია მარცვლეული და სხვა კულტურების თესვა.

გორელ კოლმეურნეთა სიტყვა და საქმე ერთია. ისინი ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით შეასრულებენ.

შ. ჩუბინიძე
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

მაიაკოვსკელ და ზესტაფონელ მევენახეთა შეჯიბრება

მაიაკოვსკის რაიონში ვენახს სულ 2.250 ჰექტარი უჭირავს. აქედან 500 ჰექტარზე მეტი გაშენებულია უკანასკნელი ათი წლის მანძილზე. ყოველწლიურად იზრდება ამერიკული ვაზის სადედის ფართობი. უმჯობესდება ვენახების მოვლა-დამუშავება. თვალსაჩინოდ გაიზარდა ყურძნის მოსავლიანობაც. მაგალითად, 1945 წელს საშუალოდ ჰექტარზე მიღებული იყო 19 ცენტნერი ყურძენი, 1946 წელს — 27 ცენტნერი, ხოლო 1947 წელს — 34 ცენტნერი. შარშან კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა სახელმწიფოსაგან ჩაბარებული ყურძნის საფასურად 6,8 მილიონი მანეთი მიიღეს. რაიონის მშრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს დიდი სტალინისათვის მიცემული პირობა—2.000 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანეს 51 ცენტნერი ყურძენი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 41 ცენტნერისა.

მაიაკოვსკელი კოლმეურნეები გულდასმით იხილავენ მევენახეთა რესპუბლიკური თათბირის მიმართვას, სახავენ და უკვე ახორციელებენ კონკრეტულ ღონისძიებებს წელს ყურძნის მოსავლიანობის გასადიდებლად. ვენახის საზამთრო სამუშაოები სანიმუშოდ ჩაატარეს სოფელ დიმის კალინინის, მაიაკოვსკის ბერიას, ზეგნის მეჩვიდმეტე პარტიული ყრილობისა და ჩარკვიანის სახელობის, საკრაულის კომუნის სახელობის კოლმეურნეობებმა.

მაგრამ ყველა კოლმეურნეობაზე ამას ვერ ვიტყვით. ვენახის საზამთრო და საგაზაფხულო სამუშაოებში ჩამორჩნენ ფერსათის ანდრეევისა და მახარაძის სახელობის, როხის ორჯონიკიძისა და ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობები. მათ დაუმთავრებელი აქვთ ვენახის დაბარვა, გასხვლა, აკლიათ ჭიგო და სხვ.

მაიაკოვსკელ მევენახეებს წელს სერიოზული ამოცანები აკისრიათ. მათ ახლად უნდა გააშენონ 61 ჰექტარი ვაზი, 2.250 ჰექტარზე ჩაატარონ მწკრივთა შორის გამობარვა და სამჯერ გათოხნა, 325 ჰექტარზე შეიტანონ 16.250 ტონა ორგანული სასუქი, მეჩხერიანობის აღმოფხვრის მიზნით გამორგონ 120.000 ძირი ვაზი, 10 აპრილისათვის ვენახების მთელი ფართობი უზრუნველჰყონ ჭიგოთი და სხვ.

მოწინავე კოლმეურნეებმა მევენახეთა რესპუბლიკური თათბირის მიმართვის პასუხად ახალი ვალდებულებანი იკისრეს. სოფელ დიმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ჭრელაშვილმა იკისრა კოლმეურნეობაში 17 ჰექტარი ვენახიდან 2 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 150 ცენტნერი ყურძენი, 4 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე — 90 ცენტნერი, 5 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე — 60 ცენტნერი. ამავე კოლმეურნეობის მევენახეობის ბრიგადის ხელმძღვანელმა ი. ვაშაკიძემ პირობა დასდო 2 ჰექტარზე მიიღოს 200 ცენტნერი ყურძენი. ახალი ვალდებულებები იკისრეს მოწინავე მევენახეებმა ამხ. ქორიძემ, ჭუმბურიძემ, კვირიკაძემ, მინაძემ და სხვებმა.

მაიაკოვსკელ მევენახეთა საერთო ვალდებულება ასეთია: 4 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 200 ცენტნერი ყურძენი, 10 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე — 150 ცენტნერი, 30 ჰექტარისაზე — 100 ცენტნერი, 60 ჰექტარისაზე — 90, 100 ჰექტარისაზე — 80, 120 ჰექტარისაზე — 70, 200 ჰექტარისაზე — 60, ხოლო დანარჩენი ფართობის თვითეულ ჰექტარზე—50 ცენტნერი.

მაიაკოვსკელმა მევენახეებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ზესტაფონელი მევენახეები.

ი. სულაბერიძე

რაიონული თათბირი სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებზე

7 აპრილს ქარელში შესდგა სასოფლო საბჭოებისა და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების რაიონული თათბირი. სოფლის მეურნეობაში 1948 წლის ამოცანების შესახებ თათბირზე მოხსენებით გამოვიდა რაიაღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ამხ. ვ. გელაშვილი. შემდეგ თათბირმა მოისმინა პარტიის რაიონული კომიტეტის მდივნის ამხ. ვ. წიკლაურის მოხსენება მეაბრეშუმეობის განვითარების ღონისძიებებზე. ორივე საკითხზე კამათში მონაწილეობა მიიღო 11 კაცმა.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა დარგში ამხ. მ. ბარამია.

ჩვენ გვწერენ

დედაქალაქის მხატვრული გაფორმების საკითხისათვის

ქალაქის მხატვრული გაფორმება მეტად მნიშვნელოვანი საკითხია. გარეგანი სახე ქალაქისა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმ მხატვრული პროდუქციის ხარისხზე, რომელსაც ჩვენ ყოველდღიურად ვხვდებით ქუჩებში— აფიშების, პლაკატების, აბრებისა და სხვა რეკლამის სახით.

აქ გვინდა ორიოდე სიტყვა ვთქვათ ჩვენი დედაქალაქის მხატვრული გაფორმების შესახებ. უნდა ითქვას, რომ რეკლამის საქმე თბილისში მოუგვარებელია. გარდა აბრებისა და ხშირად მეტად დაბალხარისხოვნად, უგემოვნოდ შესრულებული აფიშების და პლაკატებისა, თითქმის ვერაფერს ვხედავთ თბილისის ქუჩებში.

როგორც აუცილებელი პირობა, ყოველგვარი რეკლამა უნდა იყოს ლამაზი, მიმზიდველი, იწვევდეს სასიამოვნო გრძნობას, შნოსა და ელფერს ანიჭებდეს ქალაქს. სარეკლამო ნახატი ლაკონიური, რეალისტური და მეტყველი უნდა იყოს. უდიდეს ყურადღებას მოითხოვს რეკლამის წარწერის შრიფტები. რეკლამის ზომა უნდა შეეფარდებოდეს იმ ადგილს, სადაც იგი მოთავსებულია. ყოველივე ეს ცნობილია, მაგრამ იგი ხშირად ავიწყდებათ იმ ამხანაგებს, რომელნიც ამ საქმეს განაგებენ.

რეკლამა ქალაქის არა მარტო გარეგნული სახეა, იგი დიდ გავლენას ახდენს მოქალაქის გემოვნებაზე. ასეთი მნიშვნელოვანი საქმე ჯეროვან ყურადღებას მოითხოვს. მაგრამ სამწუხაროდ საქართველოს დედაქალაქის ქუჩებში მეტწილად სრულიად დაბალხარისხოვანი რეკლამა გვხვდება. სახელმწიფო დაზღვევის, წითელი ჯვრის, შემნახველ სალაროთა, სახანძრო დაცვისა და სხვა რეკლამები მეტად უგემოვნო და დაბალი ხარისხისაა.

განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ სახელმწიფო ცირკის ყოვლად სამარცხვინო აფიშები. მახინჯი, ბალაგანური სტილი, ნახატისა და რეკლამის ელემენტარული წესების აბსოლუტური უცოდინარობა—აი რა ახასიათებს ამ აფიშებს. არადამაკმაყოფილებელია კინოს აფიშებიც.

მხატვართა კავშირმა დაუყოვნებლივ უნდა მიაქციოს ყურადღება დედაქალაქის მაღალმხატვრული გაფორმების საქმეს. საჭიროა ამ საქმის გარშემო გაერთიანდეს კვალიფიციური მხატვრების უფრო ფართო წრე, რომელთაც გარკვეული დეკორაციული ოსტატობა და გემოვნება აქვთ. რეკლამების ესკიზები უნდა მტკიცდებოდეს სპეციალური სამხატვრო საბჭოს მიერ, და არა მარტო ესკიზები, არამედ მზა პროდუქციაც. მხატვართა კავშირის დეკორაციულმა სექციამ, რომელიც სრულიად გულგრილად ეკიდება ამ მნიშვნელოვან საქმეს, საჭიროა იზრუნოს კადრების მომზადებისათვის რეკლამის დარგში.

ჩვენი სახალხო მეურნეობის სწრაფი ზრდისა და განვითარების შედეგად იზრდება მოთხოვნილება რეკლამის მხრივაც. საჭიროდ მიგვაჩნია მაღალხარისხოვანი მხატვრული რეკლამები ქალაქის სავაჭრო ორგანიზაციებისათვის, რესტორანებისა და ბაზრებისათვის, აგრეთვე ვაგზალში. უფრო ფართო და მაღალხარისხოვანი რეკლამაა საჭირო სანახაობების, მუზეუმების, წიგნის მაღაზიებისათვის.

გარდა ამისა, საჭიროა ნაბეჭდი რეკლამაც — ცნობარების, კატალოგებისა და სხვათა სახით.

ცხადია, ჩვენს საბჭოთა რეკლამას საერთო არაფერი აქვს ბურჟუაზიული ქვეყნების რეკლამასთან, რომლის ძირითადი მიზანია მოემსახუროს კაპიტალისტთა ინტერესებს. ჩვენში რეკლამა ჩვენი ქვეყნის მზარდი კეთილდღეობის მაჩვენებელია. ამიტომ იგი უნდა შეეფერებოდეს ჩვენი ცხოვრების სტილს, ჩვენი ხალხის გაზრდილ მოთხოვნილებებს.

აპოლონ ქუთათელაძე
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„სამჭედლოები არ მოუწყვიათ. მუშა-საქონელს ცუდად უვლიან"

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 17 იანვრის ნომერში მოთავსებული იყო კორესპონდენცია ხაშურის რაიონზე.

როგორც პარტიის რაიონული კომიტეტის მდივანი ამხ. გრ. ფოფხაძე გვატყობინებს, „წერილში აღნიშნული ნაკლოვანებანი განხილულ იქნა ხარაიონო თათბირზე, რომელსაც დაესწრნენ სასოფლო საბჭოებისა და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, პარტიული ორგანიზაციების მდივნები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები.

გომის, ქოშორის, ჯვართმუხის, ნარუჯების, იმერლიანთკარის, დიდი და პატარა ღუდის, პატარა ხალების, ბრილისა და ოძისის კოლმეურნეობებში თესლის გაწმენდისა, სამჭედლოების მოწყობისა და მანქანა-იარაღების შეკეთების საკითხი განიხილა რაიკომის ბიურომ და აღნიშნული ნაკლოვანებანი გამოსწორებულ იქნა.

რაიკომის ბიურომ განიხილა აგრეთვე დიდი ღლევის, კრისხევის და კაკალათხევის კოლმეურნეობებში მუშა-საქონლის გამოზამთრების საკითხი და დასახა ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

დიდი ღლევის კოლმეურნეობის ფერმის გამგე დ. სტეფნაძე, რომელიც უპასუხისმგებლობას იჩენდა მუშა-საქონლის მოვლა-პატრონობის საქმეში, რის გამო ადგილი ჰქონდა პირუტყვის სიკვდილიანობას, მოხსნილ იქნა ფერმის გამგეობიდან და მასალები მისი პასუხისგებაში მიცემის შესახებ გადაეცა რაიონის პროკურორს".

თბილისის ფეხსაცმლის პირველ ფაბრიკასთან ახლახან დაამთავრეს ე. წ. ცხელი ვულკანიზაციის საამქროს მოწყობა. 1 აპრილს საამქრო უკვე ამუშავდა და დაიწყო ფეხსაცმლის გამოშვება. სურათზე ზეინკალი ნ. ჯანჯღავა და მექანიკოსი ფ. ბანეთიშვილი საბოლოოდ ამოწმებენ შესრულებულ სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხს.

ფოტო რ. აკოფოვისა და ვლ. გინზბურგისა

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების დროშით

ქუთაისელ სტახანოველთა ახალი ვალდებულებები

ქუთაისის საწარმოთა კოლექტივები ხალისით ებმებიან საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში და კისრულობენ კონკრეტულ ვალდებულებათა შესრულებას.

2 აპრილს აბრეშუმკომბინატის საამქროებში შემდგარ კრებებზე მრავალდაზგოსანმა მქსოველებმა ს. კაკაბაძემ, ვ. გიორგაძემ, მ. ზოლოტუხინამ და სხვებმა იკისრეს აპრილის განმავლობაში გეგმის გადამეტებით გამოიმუშაონ 500-600 მეტრი მაღალხარისხოვანი ქსოვილი თვითეულმა. ძაფის ამმღებმა ქ. ხონელიძემ იკისრა 20 აპრილისათვის უზრუნველჰყოს აპრილის თვიური დავალების განაღდება, ხოლო მთლიანად კომბინატის კოლექტივმა იკისრა თვიური დავალების შესრულება 25 აპრილისათვის და საპირველმაისო საჩუქრად 45.000 მეტრი აბრეშუმისა და 32.000 მეტრი ბამბის ქსოვილის გამოშვება.

გადიდებული ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე ქუთაისის მაუდის ფაბრიკის მოწინავე სტახანოველებმა. მათი ვალდებულებაა თვიური გეგმის გადამეტებით საპირველმაისოდ გამოუშვან 5.000 მეტრი ქსოვილი და 2 ტონა ნართი.

საპირველმაისო შეჯიბრებაში ჩაებნენ ქუთაისის დანარჩენ საწარმოთა და ახალ მშენებლობათა კოლექტივებიც.

გ. მეფისაშვილი
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ყურადღების ცენტრშია ხარისხი და ასორტიმენტი

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კოლექტივი ერთსულოვნად ჩაება საპირველმაისოდ გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრა კონკრეტული ვალდებულებების შესრულება პროდუქციის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის შემდგომი გაფართოებისათვის.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში კომბინატის კოლექტივმა შესანიშნავი მაჩვენებლები მოიპოვა, საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 110,8 პროცენტით შეასრულა, სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისა — 112,4 პროცენტით და ამავე დროს საგრძნობი გადაჭარბებით გაანაღდა ასორტიმენტის გეგმა. მაგალითად, ქალის წინდის გამოშვების კვარტალური დავალება შესრულებულია 110,8 პროცენტით, ნაგრეხი ნართისა — 108 პროცენტით, შეგრეხილი ნართის გამოშვებისა — 106,1 პროცენტით და ა. შ.

კომბინატის მუშა-მოსამსახურეებთან ერთად საპირველმაისო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფა იკისრეს ქარხნის სამეურნეო ხელმძღვანელებმა (დირექტორი გ. გოგოლაძე, მთავარი ინჟინერი მ. გონჩაროვი), საამქროთა უფროსებმა და ოსტატებმა. კომბინატის საამქროებსა, აგრეგატებსა და ბრიგადებს შორის საპირველმაისო შეჯიბრებაში გამარჯვების მთავარ პირობად დასახულია პროდუქციის მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლების მიღწევა.

გეგმას 25 აპრილისათვის შეასრულებენ

კიროვის სახელობის თბილისის დაზგათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა საერთო-საქარხნო კრებაზე გადაწყვიტა ჩაებას საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრა თვიური საწარმოო დავალება შეასრულოს 25 აპრილისათვის, თვის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვას 20.000 მანეთის სასაქონლო პროდუქცია, პირველი მაისისათვის მიაღწიოს 50.000 მანეთის დაგროვებას, აითვისოს და გამოუშვას ერთი ახალი სპეციალური დანიშნულების დაზგა.

ნაკისრ ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის ქარხნის საამქროებს, საოსტატოებსა და ბრიგადებს შორის გაიშალა შეჯიბრება.

რატომ ექცევიან ლმობიერად საკოლმეურნეო ქონების გამნიავებლებს?

1946 წლის შემოდგომაზე სოფელ ფშაველიდან (თელავის რაიონი) „კომუნისტის" რედაქციის სახელზე მამხილებელი კორესპონდენცია გაიგზავნა. ამ კორესპონდენციაში აღნიშნული იყო, რომ ფშაველის XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში ადგილი აქვს საკოლმეურნეო ქონების მითვისება-განიავებას, საკოლმეურნეო წესდების დარღვევის აღმაშფოთებელ ფაქტებს.

წერილი შესამოწმებლად და ზომების მისაღებად გაეგზავნა საქართველოს კ. პ. (ბ) თელავის რაიკომს. პარტიის რაიკომმა სპეციალურ კომისიას დაავალა ფაქტების ადგილზე შემოწმება. ფშაველში მივლინებულმა ამხანაგებმა საფუძვლიანად შეისწავლეს კოლმეურნეობაში არსებული მდგომარეობა. კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. პარტიის რაიკომის ბიურომ განიხილა აღნიშნული კოლმეურნეობის შემოწმების შედეგები და კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. გ. ბაბუევს გამოუცხადა სასტიკი საყვედური პირად საქმეში შეტანით, ამავე დროს ურჩია კოლმეურნეობის საერთო კრებას გაენთავისუფლებინა ბაბუევი კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან. კოლმეურნეობის საწყობის გამგე პარტიის წევრობის კანდიდატი ა. აბოევი საკოლმეურნეო ქონების მითვისებისა და განიავებისათვის რაიონული კომიტეტის ბიურომ გარიცხა პარტიის რიგებიდან. საქმე გადაეცა პროკურატურას სისხლის სამართლის პასუხისგებაში აბოევის მისაცემად.

თელავის რაიონის პროკურატურამ ჩაატარა გამოძიება. გამოირკვა, რომ 1945 წლის მოსავლიდან აბოევმა კოლმეურნეობის საწყობის შემოსავალში არ გაატარა 18.862 კილოგრამი სიმინდი და მიითვისა. მასვე საწყობის რევიზიის დროს დააკლდა 98,4 ლიტრი არაყი, 147 კილოგრამი კარტოფილი და სხვა. გამოირკვა აგრეთვე, რომ აბოევი საკუთარი სახლის მშენებლობაზე უფასოდ იყენებდა კოლმეურნეობის ტრანსპორტს და მუშა-საქონელს, მუშახელს, საშენ მასალას.

1947 წლის 28 აპრილს აბოევის საქმე გასარჩევად გადაეცა თელავის პირველი უბნის სახალხო სასამართლოს. საქმე გაარჩია შემცვლელმა მოსამართლემ ამხ. მარიამ გაჩეჩილაძემ. სასამართლომ ბევრი იმსჯელა აბოევის საქმეზე.

— საწყალი კაცია აბოევი. პროკურორს მკაცრი მუხლი წაუყენებია მისთვის.—ასე მოეთათბირა გაჩეჩილაძე მსაჯულებს. გადაწყვეტილებაც ასეთი მიიღეს. აბოევს მიესაჯა ერთი წლით იძულებითი მუშაობა.

თავისუფლად ამოისუნთქა აბოევმა, პატარა პურმარილიც გადაიხადა იმ დღეს ასეთი ლმობიერი განაჩენის აღსანიშნავად.

მაგრამ პროკურორმა ამხ. ა. კირვალიძემ არასწორად მიიჩნია სასამართლოს მიერ გამოტანილი ასეთი განაჩენი. მით უფრო იმიტომ, რომ უცნაური მეთოდით მოხდა საქმის განხილვა. სასამართლოს არ გამოუძახია მოწმეებად კოლმეურნეობის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრები, არც სხვა კოლმეურნეები. აღსანიშნავია ისიც, რომ განაჩენი მოსამართლემ კი არ დასწერა, არამედ სასამართლოს მდივანმა.

პროკურორმა გააპროტესტა სასამართლოს გადაწყვეტილება. საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ დაარღვია თელავის პირველი უბნის სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

1947 წლის ივლისში სასამართლომ კვლავ განიხილა აბოევის საქმე. ამჯერად სასამართლო სხდომას თავმჯდომარეობდა მეორე შემცვლელი მოსამართლე ამხ. ნინო გურასპაული. მაგრამ გურასპაული გაჩეჩილაძესავით „გულჩვილი" აღმოჩნდა.

— ამხ. გაჩეჩილაძე როგორ შეცდებოდა?—ამბობდა გურასპაული განაჩენის გამოტანის დროს თათბირზე, — მოსამართლის ავტორიტეტის დაცვის მიზნით, თავისუფლად შეგვიძლია აბოევს 10.412 კილოგრამი სიმინდი ჩამოვაწეროთ, ამის საბუთს როგორმე წარმოადგენს. ამიტომ ერთი წლიწადი იძულებითი მუშაობის მისჯა სავსებით საკმარისი იქნება. ასეთი გადაწყვეტილებაც გამოიტანეს.

მაგრამ რაიონის პროკურორმა საკოლმეურნეო ქონების გამნიავებლის აბოევის მიმართ ასეთი განაჩენის გამო კვლავ დაწერა პროტესტი. უმაღლესმა სასამართლომ საქმე ისევ დაარღვია და მესამედ გასარჩევად დაუბრუნა სასამართლოს.

აბოევი შეშფოთდა, დატრიალდა, ძმა-ბიჭებს მოელაპარაკა, კონსულტაცია მიიღო და აცილება შეიტანა სასამართლოს შემადგენლობაზე.

— ალალმართალ კაცს მაფუჭებენ, ორჯერ გამამართლეს, აქაურებისა რადგან არ სჯერათ, ახლა სხვა რაიონის მოსამართლემ განიხილოს ეს საქმეო.

აბოევის თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა. მისი საქმე განსახილველად გადაეცა ახმეტის რაიონის მეორე უბნის სასამართლოს.

საქმე მიიღო მოსამართლე ამხ. გაგუნაშვილმა. იგი მანამდისაც კარგად იყო ინფორმირებული „საწყალი" აბოევის „უდანაშაულობაზე". საქმე გაირჩა. გაგუნაშვილმა მკაცრად მიიჩნია თელავის სასამართლოს განაჩენი. საქმეში ჩაკერებული ოფიციალური დოკუმენტებისა და ჩვენებისათვის მოსამართლეს ყურიც არ უთხოვებია და აბოევს მიუსაჯა... ექვსი თვით იძულებითი მუშაობა.

ასე დამთავრდა თელავისა და ახმეტის სასამართლოებში საკოლმეურნეო ქონების მიმთვისებლის, გაქნილი კომბინატორის აბოევის საქმე.

— ჩვენ ხელშეუხებელნი ვართ, — აცხადებენ აღნიშნული მოსამართლეები,—როგორსაც გვინდა, ისეთ გადაწყვეტილებას გამოვიტანთ.

აშკარაა, რომ მათი ეს გადაწყვეტილებანი საბჭოთა კანონებიდან არ გამომდინარეობენ.

კოლმეურნეები კანონიერად კითხულობენ:

— რატომ ექცევიან ასე ლმობიერად საკოლმეურნეო ქონების გამნიავებელს?

დაე ამაზე თავისი ავტორიტეტული სიტყვა სთქვას საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ.

ქ. იარალოვი
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ლეო ქიაჩელი

ჯოჯოს მამა*

თავი ოცდამესამე

ჩამოწვა თუ არა ღამე ბზიფის ხეობაში, აჭაჭარის ფერმიდან წამოსული სამსონ ღარაძე და მანუჩა-მწყემსი სოუში დაეშვნენ. მათი დაშვება მოხდა ჩრდილოეთ მხარეს, სადაც უღელტეხილით ჩამომავალი სანჭაროს ბილიკი სოუს შუაგულისკენ უხვევდა.

— სიფრთხილეს თავი არ სტკივა, — უთხრა სამსონმა მანუჩას.—რა იცი, ვინ შეგვხვდება ბილიკზე? მოდი, ტყე-ტყე ვიაროთ!

სთქვა და ტყეში გადაუხვია. მანუჩაც მიჰყვა.

მაგრამ ტყეში ისეთი უკუნი იდგა, რომ თვალით არა დაინახებოდა რა. სოფელი იქვე იწყებოდა, ტყის პირთან, მაგრამ არც იქ მოსჩანდა სინათლის ნატამალი.

მგზავრების გაკვირვება უფრო ურღვევმა სიჩუმემ გამოიწვია, რომელიც როგორც ტყეში, ისე მის იქითაც, სოფელში გამეფებულიყო, სადაც იგი ამ დროს მოსალოდნელი არ იყო. იგი ძალაუნებურ შიშს იწვევდა მგზავრებში.

სამსონ ღარაძეს ეჭვიც კი აღეძრა:

— იქნება მხარი გვექცა და სადმე უდაბურ ადგილზე მოვხვდითო.

შესდგა. მხრიდან თოფი გადმოიღო და ხელში მოიმარჯვა. როცა უკან მომავალი მანუჩა გაუსწორდა, თავისი ეჭვი საიდუმლოდ ყურში ჩასჩურჩულა.

— არა, სოუა ნამდვილად, ამხანაგო სამსონ. ეჭვი რატომ შეგდის? მაგრამ ასეთი უსინათლობა და სიჩუმე მეც ვერ ამიხსნია. ვახშმობის დროც კი არ არის. — ჩურჩულითვე უპასუხა მანუჩამ.

ალბათ, ორივე ერთნაირად გრძნობდა გარემოს განწყობილებას, რომ ხმამაღლა ლაპარაკი დაუშვებლად მიიჩნიეს.

— უსინათლობა გასაგებია, კაცო,— განაგრძო სამსონმა.—შენიღბვას ნიშნავს. სოხუმში ხომ იყავი?

— ღამე არ დავრჩენილვარ...

— სიბნელეშია, ძმაო, ქალაქი გახვეული... ასე უნდა, ალბათ..., მაგრამ ეს სიჩუმე რაღაა? იქნება, თავდასხმის მოლოდინში აიყარნენ სოუელები და წავიდნენ სადმე?... ა? შენ რას იტყვი?... ძაღლებიც რომ არ ჰყეფენ?... წარმოიდგინე, ასე მგონია, რომ მეშინია...

— იმიტომ გგონია, რომ ვჩურჩულობთ რატომღაც, თითქოს მტრის ბანაკში ვიყოთ შეპარულები... — ცოტა ხმას აუწია მანუჩამ.

— სუ! ნუ იცი, კაცო, ახირება წეღანდელი აგიტაციისა არ იყოს, ჩემს წინააღმდეგ რომ გასწიე მწყემსებში! რომ არ ამკიდებოდი, დღის სინათლეზე ჩამოვიდოდი... შენი ბრალია, დამაგვიანე! — გაწყრა სამსონი, მაგრამ მაშინვე შეანელა სიფიცხე და ჭკუაზე დამრიგებელი კილოთი განაგრძო: — ალბათ, საჭიროა სიჩუმეც... სიბნელესთან ერთად... შენ კი ხმამაღლა გინდა ლაპარაკი. არ შეიძლება... ისე იქცევი, თითქოს არაფერი გამოცვლილიყოს ქვეყანაზე. გაიგე, რომ მტერი კარზე დგას... იქნება, შემოვიდა კიდევაც... ან აქვეა გარშემო ჩასაფრებული... აბა შენ რა გგონია?... ჰო, იმის თქმა მინდოდა წეღან... თუ სოუში ვიმყოფებით, ჩანს, რაც აქ ჩვენი ჯარი მოვიდა, უკვე წასულა, თორემ, ხომ იცი, სადმე, ხმაურობა იქნებოდა... ჩვენი რაზმელებიც არ ჩანან რატომღაც...—ამბობდა არეულად შეწუხებული სამსონი და ადგილიდან დაძვრას არ აპირებდა.

— მე მაინც ვერ გამიგია, ამხანაგო სამსონ, აქ რატომ ვდგევართ? შევიდეთ სოფელში და ყველაფერს გავიგებთ!

— ა? მართლა, რატომ ვდგევართ? მაგრამ რა გითხრა, იცი? მოდი, ბილიკზე გავიდეთ და გზით ვიაროთ, სჯობია, რაკი ძე-ხორციელის ჭაჭანება არსად არის... ასეა ხომ: თუ არავინ არის, ვინ უნდა შეგვხვდეს?... არ ვიცი, ასე რატომ გვეშინია!

— ვინ ამბობს, კაცო, გვეშინიაო! გამიშვი, მე წავალ წინ... მომყევი! — სთქვა თამამად მანუჩამ და დაწინაურდა.

— დაიცა, კაცო, რა გარდანქეშანი შენ მყავხარ ვითომ?... სუ... მგონი, ტყეში ვიღაცაა...

ძლივს მოასწრო ამის თქმა სამსონმა, რომ საიდანღაც უცებ გაჩენილი სინათლის მკვეთრი შუქი, ავაზის თვალებიდან გამონაკრთომი ცეცხლის ალივით სახეში ეცა და ავაზისავე ბასრი ბრჭყალივით თვალებში შეერჭო.

— ხელები ზევით!—გავარდა უმალვე თოფივით ადამიანის შეძახილი.

— ვაიმე, მიშველეთ! — იყვირა გონდაკარგულმა სამსონმა. ხელი უშვა თოფს და სახეზე აიფარა. იარაღი ძირს დავარდა.

— ჩვენიანები არიან, სამსონ! მაცის ხმაა! ნუ გეშინია! — არ დაიბნა მანუჩა. სამსონის წინ დადგა და შესძახა:

— ჩვენა ვართ, ამხანაგო მაცი!

ამ დროს ხელის ფარანი ჩაჰქრა.

— გიცანი, ჩემო მანუჩა!... გიცანი. მაგრამ ის მეორე მაღალი კაცი ვინ არის, სახეზე ხელი რომ აიფარა? ხომ არ გვემალება?

— ჩვენი სამსონია, ამხანაგო მაცი... ღარაძე!

— ჰოო...

— ჰო, მე ვარ, სამსონი... ნუთუ ვერ მიცანი, ამხანაგო მაცი?—გონს მოვიდა ახლა სამსონი და ხმაც ამოიღო.

მაცი ზურუბაიამ ერთხელ კიდევ მიანათა თავისი ფარანი სამსონს.

— კი, მაგრამ ამ ტყეში რა გინდოდათ, ამხანაგებო? გზას ასცდით, თუ რა მოგივიდათ? დივერსანტები გვეგონეთ და კინაღამ დაგხოცეთ.

— სახეზე მიყენებულმა ფარნის შუქმა შეაწუხა სამსონი.

— მომაშორე, თუ კაცი ხარ! ისედაც ვერაფერს ვხედავ! — სთხოვა მაცის. იმანაც ჩააქრო ფარანი.

მანუჩამ იდო თავის თავზე იმის ახსნა-განმარტება, თუ როგორ მოხვდნენ ტყეში, რამაც, ცოტა არ იყოს, ჩრდილი მიაყენა ფერმის გამგის ვაჟკაცობას.

— ჩვენ კი არ უნდა გვეშინოდეს მტრის ამ ჩვენს სახლში, ამხანაგო სამსონ... პირიქით, მტერს უნდა ეშინოდეს!—შენიშნა მაციმ უწყინარი ხმით სამსონს, რომელსაც ხმა ვერ ამოეღო.

მანუჩას ნახვა სოუს საბჭოს თავმჯდომარეს დიდად გაუხარდა.

— ძლივს გვეღირსა შენი დაბრუნება, ჩემო მანუჩა! ასე რატომ დაიგვიანე? ჯოტოს ნამდვილი ამბავი და გაზეთები თუ მაინც ჩამოიტანე?—ჰკითხა.

როცა პასუხი მიიღო, მანუჩა სამსონთან ერთად ამხანაგ კირილესთან გასტუმრა.

— მთის კაციც კირილესთან არის... მის ოთახში. წადით, მოუსწარით, სანამ დაიშლებოდნენ. მეც მალე მოვალ!

სამსონი ამ დროს დაღუნულიყო და მიწაზე ხელებს აფათურებდა. თოფს ეძებდა, რომელიც ამას წინათ დაუვარდა. ბედზე მალე იპოვნა. ხელში დაიჭირა და გასწორდა. მანუჩას გვერდში ამოუდგა, თითქოს აქ არაფერიაო!

სიბნელის გამო იქ მყოფნი ვერ მიხვდნენ, თუ რას ეძებდა მიწაზე სამსონი. გაუკვირდათ კი მისი საქციელი.

— დაჰკარგე რამე, ამხანაგო სამსონ? —ჰკითხა მაციმ.

— არა... არაფერია... ისე...—ენის ბორძიკით უპასუხა სამსონმა და სიტყვა ბანზე აუგდო შემკითხველს:

— ამხანაგო მაცი, — საქმიანი კილოთ მიმართა სოფლის საბჭოს თავმჯდომარეს,—ვითომ სხდომა უნდა ყოფილიყო ამ საღამოს. დაბარებული ვიყავი. ვერ მეტყვი, გათავდა, თუ არც კი შემდგარა?

— რა დროს სხდომაა, ჭირიმესო სამსონ? ვერ ხედავ, მტერთან პირისპირ ბრძოლა დაიწყო.

თავი ოცდამეოთხე

სანჭაროს ბილიკით მომავალი საბჭოთა ჯარის ნაბრძოლი ნაწილების გამოჩენა ჯერ უღელტეხილზე და მერე კიდევ სოუში იმდენად მოულოდნელი იყო სოუელებისათვის, რამდენადაც თავზარდამცემი. — გამვლელ ჯარს თან ლანდივით ადევნებოდა ომის შემზარავი სისხლიანი სახე და მისი ქუხილის ხმაც გამოჰყოლოდა, რაც ბზიფის ხეობას მანამდე არც ენახა და არც გაეგონა.

გადასაჯგუფებელი ნაწილების გავლა სოუში როგორც უეცრად დაიწყო, ისე უეცრადვე დამთავრდა. იგი ორ დღე-ღამეზე მეტს არ გაგრძელებულა.

სოფელი სოუ დამპყრობთა შემოსევის უეჭველი საფრთხის წინაშე დადგა.

ჯერ კიდევ გუშინ სოუს მშვიდობიან მშრომელებს ერთი სადარდელიდა ჰქონდათ. ეს იყო ომში წასული ვაჟების ბედი და იღბალი. დღეს კი მათ სხვა საზრუნავიც გაუჩნდათ, გაცილებით უფრო მძიმე და საშური:—მამაპაპეული კერის, საკუთარი სიცოცხლის და სარჩო-საბადებლის გადარჩენა მოახლოვებული მტრის რბევისაგან.

ორნაირმა ციებ-ცხელებამ შეიპყრო ხალხი. ერთი იყო ბავშვებისა და ქალების დროზე გახიზვნის თადარიგი, მეორე—იარაღის ასხმა.

კირილე გორაკოვს ადრევე ჰქონდა გათვალისწინებული ის საშიშროება, რომელიც სოუს მოელოდა ყუბანში შექმნილი მდგომარეობის წყალობით. ცხადი იყო, თუ მტერი ქედზე გადმოვიდოდა, მისი პირველი დარტყმა სოუს არ ასცდებოდა.

მაგრამ გორაკოვი ერთ რამეში ვერ გარკვეულიყო: ნამდვილი მარცხის შედეგს წარმოადგენდა დასავლეთი კავკასიის უღელტეხილებთან მტრის მოშვება, თუ იგი საბჭოთა სარდლობის სტრატეგიული მოსაზრებით იყო გამოწვეული.

რა თქმა უნდა, ამის გარჩევის არც თავი ჰქონდა და არც ძალა შესწევდა სოუს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს. მაგრამ როგორც გამოცდილ ძველ პარტიზანს, ჩრდილოეთ კავკასიის მთებში ხანგრძლივად ნაბრძოლს და საბჭოთა პატრიოტს არ შეეძლო გულგრილად ეცქირნა მტრის წინსვლისათვის ისეთი გზით, რომელიც თავისთავად უდიდეს ბუნებრივ დაბრკოლებას წარმოადგენდა მისთვის.

მებრძოლთა რაზმის შედგენა კირილე გორაკოვს ადრევე დაევალა, ყუბანში მტრის შემოჭრისთანავე. ამ დავალების შესასრულებლად იგი სათანადო ნიადაგს ამზადებდა თავის მეგობრებს შორის. შერჩეულიც ჰყავდა მომავალი თანამებრძოლები.

მაგრამ რაზმი მაშინ ჩამოყალიბდა სინამდვილეში, როცა სოუში მტრის აგენტები გაჩნდნენ დივერსანტების სახით. მათი გამოჩენა ბზიფში დაემთხვა ნაბრძოლი ჯარის ნაწილების პირველი ჯგუფის მოსვლას სოფელ სოუში.

დივერსანტების წინააღმდეგ ბრძოლა ადვილი როდი იყო. ათასნაირად შენიღბული მტრის აგენტები კალიასავით მოედვნენ ბზიფის ხეობას და განსაკუთრებულად კი სოუს ტყიან მიდამოებს. მათი გზა-კვალის მიგნება და აღმოჩენა ტყით დაბურულ მთებსა და მიუვალ ხევებში განსაკუთრებულ გამოცდილებას მოითხოვდა, რაც სოუელ მებრძოლებს არ გააჩნდათ.

მაგრამ გორაკოვს ამ დაბრკოლების დაძლევა იმ გარემოებამ გაუადვილა, რომ მისი რაზმი უპირატესად გამოცდილი, ადგილის ზედმიწევნით მცოდნე კოლმეურნე მონადირეებისგან შესდგებოდა. გარდა ამისა, დაზვერვის საქმეს სათავეში ისეთი კაცი ედგა, ბილიკებისა და ტყეების ხვეულების მცოდნე, როგორიც იყო მთის კაცი.

ყოველივე ამის წყალობით გორაკოვსა და მის რაზმს მეტად იშვიათად, შემთხვევით თუ დაუსხლტებოდათ ხელიდან შემოპარული მტერი. იგი უმალვე ებმებოდა მახეში, როგორც კი სოუს არემარეში ფეხს შემოდგამდა.

თავდაპირველად კირილე გორაკოვი დიდი სისასტიკით ეპყრობოდა მახეში გაბმულთ. ხშირად მის სიტყვას მისი რევოლვერის ტყვია უსწრებდა. მაგრამ კირილე ამას თავის იარაღს აბრალებდა:

— ჩემს რევოლვერს ასეთი ხასიათი აქვს: თვითონ ამოდის ბუდიდან დაისვრის, როცა სამშობლოს მტრის მყრალი სუნი ეცემაო!—ამბობდა ძველი ყუბანელი მებრძოლი.

მაგრამ მას შემდეგ, რაც სოხუმიდან განკარგულება მოუვიდა, შეპყრობილ დივერსანტებს დასაკითხავად რესპუბლიკის უშიშროების კომისრის რწმუნებულის განკარგულებაში გზავნიდა უმეტეს შემთხვევაში.

(გაგრძელება იქნება)

*) გაგრძელება. იხ. „კომუნისტი" № 14, № 17, № 20, № 22, № 25, № 30, № 32, № 37, № 47, № 50, № 52, № 55, № 56, № 57, № 58, № 60, № 68, № 70.

საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა თათბირი ავსტრიის საკითხზე

ლონდონი, 8 აპრილი. (საკდესი). ავსტრიის საკითხთა გამო საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა გუშინდელ სხდომაზე დაამტკიცეს პრინციპულად წინათ შეთანხმებული გადაწყვეტილებანი სსრ კავშირისათვის გადასაცემი ნავთსახდელი ქარხნებისა და ნავთპროდუქტების გამსაღებელი საწარმოების საერთო საწარმოო სიმძლავრის შესახებ, აგრეთვე ნავთის ძიებისა და მოპოვების კონცესიათა ვადების შესახებ.

როგორც ავსტრიაში გერმანული აქტივების შესახებ საბჭოთა წინადადების შეუთანხმებლად დარჩენილი სხვა პუნქტების განხილვისას გამომჟღავნდა, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა დელეგაციამ ამას წინათ მნიშვნელოვანი ახალი დათმობანი გააკეთა, სამი სხვა დელეგაცია წინანდებურადვე არ იჩენს თავისი პოზიციების შეცვლის სურვილს. ისინი კვლავ მიმართავენ უსაფუძვლო მოსაზრებებს იმის შესახებ, რომ საჭიროა სსრ კავშირისათვის გადასაცემ საწარმოთა სიების წინასწარი შესწავლა, საკონცესიო კონტრაქტების პირობების განსაზღვრა და სხვა. ასეთი პოზიცია მოწმობს, რომ მეორდება წინანდელი მეთოდები, რის შედეგად დეტალები ჩრდილავს მთავარ საკითხებს და ბრკოლდება შეთანხმების მიღწევა.

უოლესის გამოსვლა ინდიანის შტატში

ნიუ-იორკი 8 აპრილი. (საკდესი) ევანსვილიდან (ინდიანის შტატი) მიღებული ცნობებით, 6 აპრილს ჯგუფი, რომელიც შესდგებოდა ომის დაახლოებით 75 ვეტერანისაგან, რომელთა უმრავლესობა, როგორც იუწყებიან, დაკავშირებულია „პროფკავშირის კათოლიკე-წევრთა ასოციაციასთან", უშედეგოდ ცდილობდა ჩაეშალა უოლესის კანდიდატურის დაცვისადმი მიძღვნილი მიტინგი. „პრეზიდენტად უოლესის არჩევის მომხრე ეროვნული კომიტეტის" თავმჯდომარე ბოლდუინი და ორი სხვა პირი მსუბუქად დასჭრეს იმ დროს, როცა ისინი ცდილობდნენ ხელი შეეშალათ დამრღვევთათვის შესულიყვნენ იმ დარბაზში, სადაც მიტინგი სწარმოებდა.

მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვაში უოლესმა დაჰგმო რეაქციული პრესის მიერ ძალადობის წაქეზება, რაც წინ უსწრებდა მიტინგს. უოლესმა მილიტარიზმი დაახასიათა, როგორც „ამერიკული ცხოვრების" უდიდესი საფრთხე.

უოლესმა წინადადება წამოაყენა, რომ სახელმწიფოს გადაეცეს ამერიკის სამხედრო და საავიაციო მრეწველობა, ვინაიდან მათი ახლანდელი მფლობელები ხელს უწყობენ საომარი ისტერიის გაჩაღებას. „მრეწველობის ის დარგები, რომლებიც დამოკიდებული არიან ომზე და ომისათვის შეუზღუდავ მზადებაზე,—სთქვა უოლესმა,—არ შეიძლება კერძო პირთა ხელში დარჩეს, ვინაიდან ხალხი ვერ დაუშვებს, რომ მოგებისადმი მისწრაფება გახდეს ომის გამომწვევი მოტივი".

გაზეთი „დეილი უორკერი" იუწყება, რომ უოლესის წინააღმდეგ 6 აპრილს მოწყობილი გამოსვლის გარდა, „პროფკავშირის კათოლიკე წევრთა ასოციაცია" ემუქრებოდა იმ პირებს, რომლებიც მხარს უჭერენ უოლესს და მუშაობენ ევანსვილის სხვადასხვა საავტომობილო ქარხნებში, რომ გამოიყენებს ფიზიკურ ძალას, თუ ისინი დაესწრებიან მიტინგებს უოლესის მონაწილეობით.

დიდი ბერლინის გერმანიის თავისუფალი პროფკავშირების გაერთიანების საპირველმაისო მოწოდება

ბერლინი, 8 აპრილი. (საკდესი). გაზეთ „ტრიბუნაში" გამოქვეყნდა დიდი ბერლინის გერმანიის თავისუფალი პროფკავშირების გაერთიანების საპირველმაისო მოწოდება, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

პირველ მაისს ლუსტგარტენში გამართულ მასობრივ დემონსტრაციაში მონაწილეობით დაამტკიცეთ, რომ თქვენ ისწრაფვით ხალხთა შორის ურთიერთგაგების მიღწევისა და მშვიდობისაკენ.

ამ ბრძოლაში ჩვენ მარტონი არა ვართ. პირველ მაისს ჩვენთან ერთად დემონსტრაციაში გამოვა ჩვენი სამშობლოს ყველა ოლქის მშვიდობიანი დემოკრატიული მოსახლეობა და მსოფლიოს ყველა ქვეყნის პროფკავშირთა 70 მილიონი წევრი.

ერთიანი პროფკავშირული მოძრაობა და პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია მშვიდობისა და სოციალური პროგრესის გარანტები არიან.

მშვიდობის უზრუნველყოფა მოითხოვს გერმანიის სამეურნეო და პოლიტიკური ერთიანობის უსწრაფეს აღდგენას და გერმანიაში ახალი დემოკრატიული სახელმწიფოებრივი წყობილების უზრუნველყოფას.

...არ იქნება ერთიანი და სოციალურად განახლებული დემოკრატიული გერმანია, თუ პროფკავშირთა ძალები არ დაირაზმნენ. პროფკავშირების ერთიანობა ის სალი კლდეა, რომელზეც იმსხვრევა რეაქციის მთელი გეგმები.

პირველი მაისი მთელი მშრომელი ხალხის დღეა. დააარსეთ სამაისო კომიტეტი ყველა პროფკავშირში, საწარმოში, დაწესებულებასა და რაიონებში.

მიიღეთ მონაწილეობა 1 მაისის დღესასწაულის მომზადებაში. მუშებო და გლეხებო, მეცნიერებო და ხელოვნების მუშაკებო, დემოკრატიულო ინტელიგენციავ და მოსწავლე ახალგაზრდობავ, ყველა მამაკაცო, ქალო და ჭაბუკო, მოგიწოდებთ აქტიური მონაწილეობა მიიღოთ მუშათა კლასის ბრძოლის ტრადიციული დღის მოწყობაში.

საქმე ეხება ჩვენს უკეთეს მომავალს, ხალხთა შორის ურთიერთგაგებას, მშვიდობას, თავისუფლებასა და სოციალიზმს.

დასავლეთ გერმანიის მთავრობის შექმნის ამერიკული გეგმა

ლონდონი, 8 აპრილი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ლონდონში 8 აპრილს ცნობილი გახდა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა წამოაყენეს ერთი წლის განმავლობაში დასავლეთ გერმანიის მთავრობის შექმნის 5 პუნქტისაგან შემდგარი პროგრამა.

რეიტერის სააგენტოს დიპლომატიური მიმომხილველის მტკიცებით, გეგმა ითვალისწინებს დროებითი მთავრობის შექმნას ახლანდელი ინგლის-ამერიკის ბიზონიისათვის და საფრანგეთის საოკუპაციო ზონისათვის; იმ მხარეთა ტერიტორიულ რეორგანიზაციას, რომელთა ახლანდელი საზღვრები დაწესებულია გერმანიის ზონალური დაყოფით; დამფუძნებელი კრების არჩევას და ამ კრების მიერ კონსტიტუციის პროექტის შედგენას; დასავლეთ გერმანიის ახალი მთავრობის ოფიციალურად შექმნას.

„ფიქრობენ, — აღნიშნავს მიმომხილველი, — რომ ამერიკის შეერთებული შტატების გეგმა მთავარი თემაა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის წარმომადგენლების დღევანდელი თათბირისა, რომელიც ბერლინში მიმდინარეობს. როგორც სარწმუნო წყაროებიდან არის ცნობილი, ეს წარმომადგენლები გერმანიის მდგომარეობაზე მსჯელობენ". მიმომხილველის სიტყვით, ეს გეგმა წარმოადგენს „ვაშინგტონისა და ფრანკფურტსა და ბერლინში მყოფ ამერიკელ საოკუპაციო ხელისუფალთა ოფიციალურ პოზიციას.

ინგლისის წარმომადგენლებმა ექსპერტთა ბერლინის თათბირზე, როგორც ეს დანამდვილებით არის ცნობილი, ძირითადად მხარი დაუჭირეს ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივას ზონების გაერთიანების ვადების გადასინჯვის საკითხში".

„ნიუ-იორკ ტაიმსი" ინგლის-ამერიკის გეგმების შესახებ გერმანიაში

ნიუ-იორკი, 8 აპრილი. (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" ბერლინელი კორესპონდენტი კლარკი ამტკიცებს, რომ უახლოეს რამდენიმე დღეში ინგლის-ამერიკის ოფიციალური პირები გერმანიაში გამოაქვეყნებენ განცხადებას, რომელიც „იმის მომასწავებელი იქნება, რომ დასავლეთი გერმანია თითქმის ფაქტიურად გამოეყოფა საბჭოთა კავშირის კონტროლქვეშ მყოფ რაიონს". მოელიან, რომ გამოცხადდება შემდეგ ღონისძიებათა გატარება: ფასების და ხელფასის სტრუქტურის გადასინჯვა გერმანიის ინგლის-ამერიკის ორზონალურ რაიონში, სავალუტო რეფორმა ორზონალურ საფუძველზე, გადასახადთა ახალი სისტემა, რომლითაც კომპენსირებული იქნება ვალუტის სტაბილიზაცია. აგრეთვე გარკვეული ნაბიჯები გადაიდგმება ბიზონიის პოლიტიკური ხელისუფლების შექმნის საქმეში. მაგრამ, კლარკის სიტყვით, ეს უკანასკნელი ღონისძიება შეიძლება გადაიდოს, თუმცა გენერალმა კლეიმ 6 აპრილს განაცხადა, რომ გაერთიანებულ ზონებში მცხოვრები გერმანელები უახლოეს ხანში პოლიტიკურად უნდა გაერთიანდნენ.

კორესპონდენტის სიტყვით, უცხო სახელმწიფოებისათვის დახმარების ამერიკული პროგრამა დააჩქარებს ამ ძირითად ღონისძიებათა განხორციელებას, რომლებიც, როგორც იგი ამტკიცებს, წარმატებით ვერ გატარდება იმ სახსრების მიუღებლად, რაც ამერიკის კონგრესის მიერ უნდა იქნას ასიგნებული.

რამდენიმე დღის წინათ, სწერს კორესპონდენტი, სამი პარტიის თავმჯდომარეებს — კაიზერს, ნეიმანსა და შვენიკეს საიდუმლო თათბირი ჰქონდათ ბერლინში რობერტსონთან, ხოლო მაინის ფრანკფურტში ინგლის-ამერიკის ხელისუფალთა წარმომადგენლნი ეთათბირნენ გერმანელ პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ პარტიების წარმომადგენლებთან.

საომარი მოქმედება საბერძნეთში

ბელგრადი, 8 აპრილი. (საკდესი). თავისუფალი საბერძნეთის რადიოსადგურმა გუშინ გადასცა დემოკრატიული არმიის უმაღლესი შტაბის ცნობა ცენტრალური მაკედონიისა და ეპირის რაიონებში წარმოებული ოპერაციების შესახებ.

5 აპრილს ცენტრალურ მაკედონიაში დამთავრდა მოწინააღმდეგის ოპერაციები, რომლებიც მან 13 მარტს დაიწყო კრუსია-კერდილიის სექტორში იმ მიზნით, რომ ამ რაიონიდან განედევნა დემოკრატიული არმიის ნაწილები, რომლებიც უშუალოდ ემუქრებიან სალონიკს. ოპერაციაში მონაწილეობას იღებდა სამეფო ქვეითი ჯარის 2 ბრიგადა, არტილერიით, ავიაციითა და ჯავშანსატანკო ჯარებით გაძლიერებული. დემოკრატიული არმიის ნაწილებმა წარმატებით მოიგერიეს მოწინააღმდეგის ყველა იერიში და შეინარჩუნეს თავიანთი პოზიციები. 8 დღის ბრძოლების განმავლობაში მოწინააღმდეგემ დაჰკარგა 150 კაცი მოკლულთა და დაჭრილთა სახით.

დემოკრატიული არმიის ნაწილები, რომლებიც ეპირის შტაბს ემორჩილებიან, უკანასკნელი 9 დღის განმავლობაში გააფთრებულ თავდაცვითს ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგესთან, რომელმაც 28 მარტს ქვეითი ჯარის 3 ბრიგადის, სამთო-მსროლელი ჯარების რამდენიმე რაზმის ძალებით და 20 საარტილერიო ქვემეხისა და ერთი ავიაესკადრილიის დახმარებით დაიწყო შეტევა ფართო ფრონტზე.

5 აპრილს დემოკრატიულმა არმიამ უკუაქცია შემომტევი მოწინააღმდეგე, გადავიდა საერთო კონტრშეტევაზე მთელი ფრონტით და გაანადგურა ქვეითი ჯარის 581, 582, 583, 584, 627, 628, 629, 399 ბატალიონები, რომლებმაც უწესრიგოდ დაიხიეს თავიანთ პირვანდელ პოზიციებზე. მოწინააღმდეგის საერთო ზარალი 9 დღის განმავლობაში შეადგენს 700-ზე მეტ კაცს მოკლულთა და დაჭრილთა სახით.

უმაღლესი შტაბის ცნობის დასასრულ სარდლობა მადლობას უცხადებს საბერძნეთის დემოკრატიული არმიის მებრძოლებსა და ოფიცრებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მოწინააღმდეგის ჭარბი ძალების განადგურებაში.

დამთავრდა ჩეხოსლოვაკიისა და ბულგარეთის სავაჭრო მოლაპარაკება

პრაღა, 9 აპრილი. (საკდესი). 7 აპრილს საქონელბრუნვისა და გადასახდელთა შესახებ ახალი შეთანხმების ხელმოწერით დამთავრდა ჩეხოსლოვაკიისა და ბულგარეთის სავაჭრო მოლაპარაკება, რომელიც მიმდინარეობდა პრაღაში მეგობრობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში. შეთანხმებით, რომელიც ითვალისწინებს ამ ქვეყნებს შორის ვაჭრობის საგრძნობ გადიდებას, ჩეხოსლოვაკიამ უნდა მიიღოს ზოგიერთი სახის ნედლეული მრეწველობისათვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და ა. შ. თავის მხრივ ჩეხოსლოვაკია კისრულობს მიაწოდოს ბულგარეთს მეტალურგიული და მანქანათმშენებელი მრეწველობის პროდუქტები, რაც აუცილებელია ბულგარეთის ინდუსტრიალიზაციისათვის, აგრეთვე ქიმიური, მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის ნაწარმი.

საგამომძიებლო კომისიის ცნობა ბრიტანეთისა და საბჭოთა თვითმფრინავების დაჯახების შესახებ

ბერლინი, 7 აპრილი. (საკდესი). ბრიტანეთისა და საბჭოთა თვითმფრინავების დაჯახების გარემოებათა და მიზეზთა გამომკვლევმა საბჭოთა საგამომძიებლო კომისიამ გამოარკვია შემდეგი:

„1948 წლის 5 აპრილს 13 საათსა და 57 წუთზე ბერლინის დროით საბჭოთა აეროდრომ დალჰოფის თავზე 410 მეტრის სიმაღლეზე ინგლისის „ვიკერს-ვიკინგის" ტიპის ორმოტორიანი სამგზავრო თვითმფრინავი ჰაერში დაეჯახა საბჭოთა ერთმოტორიან სასწავლო-სავარჯიშო თვითმფრინავ „იაკ-3"-ს. დაჯახების შედეგად საბჭოთა თვითმფრინავი ჩამოვარდა ბერლინის ინგლისურ სექტორში თავისი აეროდრომიდან 1.500 მეტრ მანძილზე. თვითმფრინავი დაიმსხვრა. მფრინავი დაიღუპა. ინგლისის თვითმფრინავი ჩამოვარდა საბჭოთა ზონაში, საბჭოთა აეროდრომ დალჰოფის ზონის საზღვარზე. თვითმფრინავი მთლად დაიწვა. მგზავრები და ეკიპაჟი დაიღუპნენ. დაჯახების ადგილზე კვლევაძიებითა და მნახველთა გამოკითხვით გამორკვეულია:

ღრუბლების სიმაღლე აეროდრომის თავზე დაჯახების მომენტში 500-600 მეტრი იყო. საბჭოთა მფრინავი სასწავლო ფრენას ახდენდა 450 მეტრის სიმაღლეზე თავისი აეროდრომის ასწვრივ. ფრენა რომ დაამთავრა, შასი გამოშალა და დაშვებას შეუდგა. ამ დროს საბჭოთა აეროდრომის თავზე ღრუბლებიდან გამოჩნდა ინგლისის თვითმფრინავი, რომელიც დაბლა ეშვებოდა. ინგლისის თვითმფრინავი მოტორებით დაეჯახა საბჭოთა თვითმფრინავის ბოლოს და მოაწყვიტა იგი. საბჭოთა თვითმფრინავმა მართვა დაჰკარგა, მიწაზე ჩამოვარდა და დაიმსხვრა. ინგლისის თვითმფრინავს დაჯახებისაგან ჰაერში ცეცხლი გაუჩნდა, მან რღვევა იწყო, შემდეგ კი მართვა დაჰკარგა, მიწაზე ჩამოვარდა და დაიწვა. დაჯახების მიზეზებია ის, რომ ინგლისის თვითმფრინავმა დაარღვია ფრენის პირობები და გამოვიდა ღრუბლებიდან, აგრეთვე არ შეასრულა ფრენის ის წესები, რომლებიც დამტკიცებულია საკონტროლო საბჭოსთან არსებული სამხედრო-საჰაერო დირექტორატის მიერ 1946 წლის 22 ოქტომბერს, სადაც პირველ კარში, პარაგრაფი 3, პუნქტი „ე" აღნიშნულია: „არც ერთი თვითმფრინავი არ უნდა შევიდეს რომელიმე აეროდრომის მოძრაობის ზონაში, თუ ამ აეროდრომზე არ ეშვება. არავითარი მოკავშირე თვითმფრინავი არ უნდა მიუახლოვდეს სხვა ერის აეროდრომს ორ მილზე ნაკლებ მანძილზე და 2.600 ფუტზე (800 მეტრზე) ნაკლებ სიმაღლეზე, თუ წინასწარ არ მიიღო ნებართვა საჰაერო უშიშროების ბერლინის ცენტრისაგან".

ინგლისის თვითმფრინავი ღრუბლებიდან გამოვიდა საბჭოთა აეროდრომიდან 0,5 მილზე და 400-500 მეტრის სიმაღლეზე. მე-7 პარაგრაფის „ბ" პუნქტში ნათქვამია: „მოფრენილი თვითმფრინავები რადიოთი უნდა დაუკავშირდნენ დანიშნულების აეროდრომს სულ მცირე 75 მილის (120 კილომეტრის) მანძილზე ბერლინის საკონტროლო ზონიდან. დანიშნულების აეროდრომი ამის შესახებ შესაბამისად აცნობებს საჰაერო უშიშროების ბერლინის ცენტრს, რომელიც გასცემს საჰაერო მოძრაობის ნებართვას და სხვა ინფორმაციასა და ინსტრუქციებს, რაც საჭირო აღმოჩნდება ფრენის უშიშროებისათვის". ინგლისის აეროდრომ კლადოვის ადმინისტრაციამ არ აცნობა ამ გაფრენის შესახებ საჰაერო უშიშროების ბერლინის ცენტრს და ამ უკანასკნელმა არ გააფრთხილა საბჭოთა აეროდრომის ადმინისტრაცია.

დაჯახების დაწვრილებითი დეტალების საბოლოოდ გამორკვევისათვის საჭიროა დაინიშნოს ინგლის-საბჭოთა შერეული კომისია".

გერმანიაში მყოფი ინგლისის საოკუპაციო ძალების სარდალმა გენერალმა რობერტსონმა ინგლისისა და საბჭოთა თვითმფრინავების დაჯახებასთან დაკავშირებით 5 აპრილს ბრძანება გასცა, მომავალში ინგლისის სატრანსპორტო თვითმფრინავებს ბერლინში გადაფრენისას ავიაგამანადგურებლები ახლდნენო. მას შემდეგ, რაც საბჭოთა მხარემ გააკეთა განცხადება აეროდრომ დალჰოფის რაიონში მომხდარ უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებით, რობერტსონის ბრძანება სატრანსპორტო თვითმფრინავების დასაცავად ავიაგამანადგურებლების გამოყენების შესახებ გაუქმებულ იქნა. საბჭოთა კავშირ-ინგლისის შერეული კომისია შეუდგა საბჭოთა აეროდრომ დალჰოფის რაიონში მომხდარი დაჯახების გარემოებათა გამოკვლევას.

რუმინეთის მინისტრთა საბჭომ მოიწონა ახალი კონსტიტუციის პროექტი

ბუქარესტი, 8 აპრილი. (საკდესი). როგორც გაზეთები იუწყებიან, მინისტრთა საბჭომ მოიწონა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი, რომელიც სახალხო დემოკრატიის ფრონტმა წარადგინა. მინისტრთა საბჭომ დაავალა პრემიერ-მინისტრ დ-რ პეტრუ გროზას კონსტიტუციის პროექტი განსახილველად წარუდგინოს დიდ ეროვნულ კრებას.

მოსკოვს ჩამოვიდა ნიდერლანდების სავაჭრო დელეგაცია

8 აპრილს მოსკოვს ჩამოვიდა ნიდერლანდების სავაჭრო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ნიდერლანდების ეკონომიურ საქმეთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობის გენერალური დირექციის დირექტორი ბ-ნი ს. ტეპემა.

აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ: სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს სავაჭრო ხელშეკრულებათა სამმართველოს უფროსის მოვალეობის ამსრულებელი ა. ს. კოროლენკო, ნიდერლანდებში სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენლის მოადგილე მ. ი. კუზნეცოვი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს სავაჭრო ხელშეკრულებათა სამმართველოს დასავლეთ ევროპის განყოფილების უფროსი პ. პ. პროკურონოვი და სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს საოქმო განყოფილების უფროსი ნ. ი. კუზმინსკი, აგრეთვე ნიდერლანდების მოსკოვის საელჩოს წევრები.

მოსკოვს ჩამოვიდნენ გერმანელი მწერლები და კულტურის მოღვაწეები

საბჭოთა მწერლების კავშირის მოწვევით მოსკოვს ჩამოვიდა გერმანელ მწერალთა და კულტურის მოღვაწეთა ჯგუფი.

ჯგუფის შემადგენლობაში არიან: ბერნჰარდ კელერმანი მეუღლით, ანა ზეგერსი, ვოლფჰანგ ლანგჰოფი, იურგენ კუჩინსკი, სტეფან ჰერმლინი, ედუარდ კლაუდიუსი, გიუნტერ ვაიზენბორნი, მიხაელ ჩესნო, ჰენრიკ ემვენი, ვოლფჰანგ ჰარიხი.

აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ საბჭოთა მწერლების კავშირის გენერალური მდივნის მოადგილე კ. სიმონოვი, ბ. გორბატოვი, კ. ფედინი, ტ. მოტილევა, ა. ლეიტესი, მ. აპლეტინი.

სტუმრები გაეცნობიან მოსკოვისა და ლენინგრადის კულტურულ დაწესებულებებს და ისტორიულ ძეგლებს. (საკდესი).

ქ. ფოთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი.

ფოთის მომღერალთა გუნდი

ფოთში ჯერ კიდევ ათეული წლების წინათ, ცნობილი ლოტბარის ძუკუ ლოლუას ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა საკმაოდ ძლიერი გუნდი, რომელშიც შედიოდნენ რკინიგზისა და ნავსადგურის მუშები.

აღსანიშნავია, რომ ამ გუნდში აღიზარდა ხალხური სიმღერის ბევრი შესანიშნავი შემსრულებელი. ზოგი მათგანი ამჟამად რესპუბლიკურ და რაიონულ გუნდებს ხელმძღვანელობს.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ხალხურ მომღერალთა გუნდების მომრავლებას და მათი მუშაობის გაუმჯობესებისათვის სათანადო პირობების შექმნას. ამის შედეგია, რომ დღეს ჩვენს რესპუბლიკაში ბევრი შესანიშნავი გუნდი არსებობს. მათ შორის ფოთის გუნდი, რომელსაც 1933 წლიდან ხელმძღვანელობს ხალხური სიმღერების გამოცდილი ოსტატი ამხ. მ. ხავთასი, ერთ-ერთ ძლიერ გუნდად ითვლება და სავსებით დამსახურებული პოპულარობით სარგებლობს დასავლეთ საქართველოში.

გუნდი ამჟამად აერთიანებს ორმოცამდე მომღერალსა და მოცეკვავეს, იგი ორჯერ მონაწილეობდა რესპუბლიკურ ოლიმპიადაში. 1937 წელს მას პირველი ადგილი მიეკუთვნა. მას შემდეგ გუნდმა თვალსაჩინო მიღწევები მოიპოვა, შემოიკრიბა მომღერალთა, მოცეკვავეთა და მეჩონგურეთა საუკეთესო კადრები. გუნდი შესანიშნავად ასრულებს როგორც მეგრულ, გურულ, იმერულ და აფხაზურ ხალხურ ცეკვასიმღერებს, ისე ცნობილი ქართველი კომპოზიტორების ზ. ფალიაშვილის, ნ. სულხანიშვილის, ა. ყარაშვილის, გ. კოკელაძის და სხვათა საგუნდო სიმღერებსაც.

გუნდი ხშირად მართავს კონცერტებს ქალაქის მშრომელებისათვის და, გარდა ამისა, აწყობს საგასტროლო მოგზაურობას დასავლეთ საქართველოს ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში. გუნდი დიდ მომსახურებას უწევს კოლხიდის ნაჭაობარ რაიონებში უკანასკნელი ათი-თხუთმეტი წლის მანძილზე გაშენებული სოფლების კოლმეურნე გლეხობას, ხშირად სკოლებშიც მართავს უფასო კონცერტებს.

აღსანიშნავია, რომ გუნდის ზოგიერთი წევრი და თვით გუნდის ხელმძღვანელი ამხ. მ. ხავთასი ხელმძღვანელობენ სკოლებსა და კლუბებთან ჩამოყალიბებულ თვითმოქმედ წრეებს, რითაც ხელს უწყობენ ჩვენი უმდიდრესი ხალხური სიმღერებისა და ცეკვის პოპულარიზაციას მშრომელთა ფართო მასაში.

გუნდის მომღერალ ქალებში განსაკუთრებით გამოირჩევიან ნ. გოცირიძე და ქ. გოგუა, ვაჟებში — ვ. ბერაია, ა. ხორავა და ლ. ფაჩულია, მოცეკვავეებში — ი. დოლბაია, ა. ნადარაია, გ. ღვამიჩავა, რ. კაკულია და ა. ხოფერია.

საგაზაფხულო თესვის კამპანიასთან დაკავშირებით გუნდი მოემსახურება დასავლეთ საქართველოს ქალაქებს, რაიონულ ცენტრებსა და კოლმეურნეობებს.

მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის სახლში

ამიერკავკასიის რკინიგზის სასკოლო განყოფილების მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის სახლი დღეს, 10 აპრილს, საღამოს 7 საათზე ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს კლუბში აწყობს თბილისის რკინიგზის სკოლების მოსწავლეთა შეხვედრას მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის დადგმის, ისტორიულ-რევოლუციური ეპოპეის „1917 წლის" მონაწილე მსახიობებთან. საღამოზე სპექტაკლის შესახებ მოხსენებითა და სიტყვებით გამოვლენ მოსწავლეები.

საღამოში მონაწილეობას მიიღებენ სპექტაკლის სცენარის ავტორი ლ. ასათიანი, თეატრის დირექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ივ. გვინჩიძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტები: პ. კობახიძე, ვ. გოძიაშვილი, შ. ღამბაშიძე, ს. ჟორჟოლიანი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები: გ. შავგულიძე, ა. გომელაური, ქ. კვანტალიანი, მსახიობი თ. თეთრაძე და სხვები.

ჩვენს დედაქალაქში

○ **ტრესტი „თბილქალაქპროექტი"** (მმართველი ამხ. ა. თევზაძე) ამუშავებს კარლ მარქსის სახელობის ხიდის რეკონსტრუქციის პროექტს. აღნიშნული პროექტით ხიდის სავალი ნაწილი იგივე იქნება, ხოლო ტროტუარი გაგანიერდება 3,5 მეტრამდე.

პროექტი მზად იქნება ივნისის პირველ რიცხვებში.

○ **გაცხოველებული ტემპით** მიმდინარეობს სანაპიროს მშენებლობა კარლ მარქსის სახელობის ხიდსა და ელბაქიძის ხიდს შუა, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე. მშენებლობა დამთავრდება მიმდინარე წელს.

○ **მიმდინარეობს** ქალაქის ქუჩების მოასფალტება და კეთილმოწყობა. დაიწყო და უახლოეს დღეებში დამთავრდება ბრძოლის ქუჩაზე ტროტუარების დაგება. გრიბოედოვისა და მეჩნიკოვის ქუჩებზე დაიგება ახალი ტროტუარი და ასფალტი.

სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს აგრეთვე ჩელუსკინელების, რკინიგზის, 5 დეკემბრის, ცეცხვათისა და ვაშლოვანის ქუჩებზე.

ფეხბურთი

8 აპრილს ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე შესდგა 1948 წლის ფეხბურთის სეზონის გახსნისადმი მიძღვნილი შეჯიბრების ნახევარფინალური მატჩები.

პირველად ერთმანეთს შეხვდნენ ქუთაისისა და მახარაძის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები. მატჩი მოიგეს ქუთაისის ფეხბურთელებმა ანგარიშით 4 : 0.

თბილისისა და ბათუმის გუნდების შეხვედრა, მიუხედავად იმისა, რომ დამატებულ იქნა 30 წუთი, დამთავრდა ფრედ — 0 : 0. 9 აპრილს აღნიშნული გუნდები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. ამჯერად მატჩი დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 4 : 0.

ამრიგად გამოირკვა ფინალური შეხვედრის მონაწილენი — თბილისისა და ქუთაისის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები. ფინალი შესდგება კვირას, 11 აპრილს.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

თეატრებში

10 აპრილს: ოპერისა და ბალეტის — „ქეთო და კოტე"; **რუსთაველის სახელობის** — „უდანაშაულოდ დამნაშავენი"; **მარჯანიშვილის სახელობის** — „უბრალო ადამიანები"; **გრიბოედოვის სახელობის** — „ჭაბუკობასთან შეხვედრა"; **მუსკომედიის** — „მსახიობის სიყვარული"; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „ალუბლები ჰყვავიან", **რუსული** — „საგანგებო დავალება"; **ხანკულტურის** — „ყვავილობის თვე".

კინოებში

10 აპრილს: „რუსთაველი", „ოქტომბერი" — „თქმულება ციმბირის მიწაზე"; **„ამირანი", „კომკავშირელი", „სპარტაკი"** — „იან როგაჩ"; **26 კომისრის სახელობის** — „თქმულება ციმბირის მიწაზე".

საქართველოს რადიოკომიტეტის გადაცემათა პროგრამა

10 აპრილს

რადიოსადგურებით 1154 და 49.59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით

17.20 — კონცერტი მოსწავლეთათვის. 18.20 — კონცერტი მომღერალ სიმონ კუხიანიძის შესრულებით. 19.00 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის. 19.15 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 20.30 — კონცერტი საქართველოს რადიოკომიტეტის სოლისტის ეთერ წვერავას შესრულებით. 20.45 — საუბარი ქართულ ენაზე. 21.05 — „მამელუკების" რადიოინსცენირება. 23.00 — საქართველოს რადიოკომიტეტის ჯაზორკესტრის კონცერტი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი აცხადებს, რომ ა. წ. 17 აპრილს, დღის 1 საათზე, ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე (რუსთაველის პროსპექტი №33/35) ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის (ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით) სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ვლადიმერ დომენტის-ძე ბურჯანაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ტირიფონის სარწყავი არხის ეკონომიკური მნიშვნელობის საკითხისათვის"**. ოფიციალური ოპონენტები: მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გ. ნ. გეხტმანი** და ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი **ნ. ს. იაშვილი**.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ეკონომიკის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

მოქალაქე **ქეთევან ალექსანდრეს ასულმა გოგიამ**, მცხოვრებმა ენგელსის ქ. № 46, აღძრა საქმე არსენალის ქ. № 12 მცხოვრებ მოქალაქე **სპირიდონ თეოფილეს-ძე ძაძამიასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის I ინსტანცია.

მეუღლე სოფიო, დედა შუშანა, ბიცოლა სოფიო იუწყებიან **პეტრე ზაქარიას-ძე ოგანეზოვის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-IV, 5 ს. ქუთაისში, ჯაფარიძის, 37.

შვილები დანიელ, ელენე, ლუბა, რძალი მარგარიტა, სიძე სევერიან ბახტაძე ოჯახებით იუწყებიან **ვარდიკო თელიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 13-IV ს. მარანში.

ტრესტ „საქსოფლელექტროს" თანამშრომლები იუწყებიან **დარმანტი გარსევანის-ძე გუმბერიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-IV ს. ობჩაში (მაიაკოვსკის რ.).

ძმები ვასილ და დავით კობახიძეები ოჯახებით, და ნინო იუწყებიან, რომ 11-IV, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **სონია პავლეს ასულ კობახიძის** პანაშვიდი.

ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის საგლინმშენის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან **დარმანტი გარსევანის-ძე გუმბერიძის** გარდაცვალებას.

მეუღლე თამარ, შვილი ნიკო ოჯახით იუწყებიან **გიორგი ნიკოლოზის-ძე ხეფაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 10-IV, 8 ს. გამოსვენება 11-IV, 3 ს. ხუდადოვის, 12.

მეუღლე ბარბარე, გიორგი, კაკო ბუაძეები და ქენია ფირალიშვილი ოჯახით იუწყებიან **პორფირე ვახტანგის-ძე ბუაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 10-IV, 7 ს. გამოსვენება 11-IV, 2 ს. გორის, 3.

„საქპურტრესტის" სატრანსპორტო-საექსპედიციო კანტორის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან **ტიმოთე როსტომის-ძე არჩვაძის** გარდაცვალებას.

შვილები ელენე, ჩიტო, ალექსანდრა, ქეთო, გრიშა, შოთა და მიშა ოჯახებით, გურამ, დონარა, ოლიმპიადა, ოლია, მარო ჩხაიძეები იუწყებიან **სოფიო მიხეილის ასულ შალიკაშვილი-ჩხაიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-IV ასკანაში.

რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი იუწყება **ლუბა ანტონის ასულ ქილარჯიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 10-IV, 7 ს. გამოსვენება 11-IV, 5 ს. ბესიკის, 36.

ა. ქავთარაძე, ი. ჩიკვაიძე, ა. შარმაზანაშვილი, მ. სემერჯიანი, ნ. ლექავა, ა. ნიჟარაძე, ვ. დოლიძე, შ. ცაბაძე, ი. გრებენიკი, ვ. კერესელიძე, გ. რევია იუწყებიან **ეკატერინე სიმონის ასულ ყიფიანის** გარდაცვალებას.

ალიოშა, ელენე ქიქინაძეები ოჯახით იუწყებიან **ეკატერინე ყიფიანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 10-IV, 7½ ს. გამოსვენება 11-IV, 3 ს. ბაზალეთის შესახვევი, 7.

დები მატა და ერმონია ოჯახებით იუწყებიან **ეკატერინე სიმონის ასულ ყიფიანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 10-IV, 7½ ს. გამოსვენება 11-IV, 3 ს. ბაზალეთის შესახ., 7.

მეუღლე ვასილ, დედა თეო, შვილები ნოდარ, ომარ, ნანული იუწყებიან, რომ 11-IV, 3 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **ლუბა იოსების ასულ ჯაში-ხუნწარიას** პანაშვიდი.

მეუღლე დარო, შვილები თამარ, გოგი, მიშა, ირაკლი ოჯახებით იუწყებიან, რომ 11-IV, 4 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ევგენი გიორგის-ძე ლაშხის** პანაშვიდი.

მეუღლე ნიკოლოზ მინაშვილი შვილებით, მშობლები დავით, ვარვარა, დები სონია, თამარ, ძმა გოგი ანანიაშვილები იუწყებიან, რომ 11-IV, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ნინო დავითის ასულ ანანიაშვილი-მინაშვილის** პანაშვიდი.

მშობლები ქიონია, ილარიონ, დები მედეა, ქენია, ლეილა, ძმა რეზო, ბიძაშვილები ილია, ვერა, კაკო, ლოლა და თამარ რამიშვილები იუწყებიან **ანტონ რამიშვილის** გარდაცვალებას. დასაფლავება სოფელ ერკეთში, ჩოხატაურის რ. 11-IV.

კოტე, ქეთო, ნიკო, ალექსანდრე და ზურაბ რატიშვილები ოჯახებით იუწყებიან **ხანდრო ეპიფანეს-ძე პარკაძის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი ლენინის ქ. № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77--70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000 უე 01620